ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 110 (19851) ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 13 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲓᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ

ᲡᲢᲘᲥᲘᲘᲡ განუწყვეტელმა დარტყმებმა გადაწყვიტა საგაზაფხულო სამუშაოთა ვადები საქართველოში, დიდ ფართობებზე საჭიროა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ხელახალი თესვა. ამ საქმეში მინდვრის მშრომელებს შეძლებისდაგვარად ეხმარებიან სსრ კავშირის სახაგრომრეწვის „საქჯიშთესლბოსტნეულის“ გაერთიანების მუშაკები. მათ გადააკეთეს სათესი მასალის მიწოდების გრაფიკი ბენების შემოტევის შემდეგ დაზარალებული მეურნეობების მოთხოვნილებათა გთვალისწინებით, ოპერატიულად და საჭირო რაოდენობით ამარაგებენ თესლით რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

— თესლი შემოგვაქვს როგორც სარაიონთაშორისო ბაზებში, ასევე სპეციალიზებულ მაღაზიებში, რომლებსაც ჩვენთან განშტოებული ქსელი აქვთ, — განმარტავ გაერთიანების უფროსმა გ. მორჩაძემ. — იქიდან უკვე თესლი უნაწილდებათ მეურნეობებს. მარტო უკანასკნელი დღეების მანძილზე, სუსხისა და სეტყვის შემდეგ, აპრილის დამლევსა და მაისის დამდეგს, დასათესად გავგზავნეთ სხვადასხვაგვარი ბოსტნეული კულტურების რამდენიმე ტონა თესლი.

დასავლეთ საქართველოში გაიგზავნა სტაფილოს, კომბოსტოს, ხახვის თესლი. მარნეულის, გარდაბნის, მცხეთის, ლაგოდეხის, გორის რაიონების მეურნეობებმა დამატებითი რაოდენობით მიიღეს პამიდვრის, ბადრიჯნის, წიწაკის, სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლი.

— ამ დღეებში მეთესლეთა ამოცანაა ის, რომ დროულად დაეხმარონ სოფლის მშრომელებს მინიმუმამდე შეამცირონ მოსავლის დანაკარგები, დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნილება თესლზე.

როგორ წყდება ეს ამოცანა?

— ჩვენ არა მარტო ვითვალისწინებთ მეურნეობების მოთხოვნილებასა და შეკვეთებს, არამედ ვცდილობთ მივაწოდოთ მათ ინდუსტრიული მოვლა-მოყვანისათვის საჭირო თესლი. ეს ამცირებს თესვის ვადას, აჩქარებს მცენარის შემოსვლას, ხელს უწყობს უხვ მოსავალს. მაგალითად, გარდაბნის საბჭოთა მეურნეობაში პირველად შევიტანეთ „ვიქტორიისა“ და „ტიტანის“ ჯიშების პამიდვრის თესლი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მანქანებით მოვკრიფოთ მოწეული მოსავალი. მარნეულის, ლაგოდეხის, სხვა რაიონებმა უკვე მიიღეს პამიდვრის თესლი, რომელიც მოვლა-მოყვანის დროს ინტენსიური ტექნოლოგიის გამოყენების საშუალებას იძლევა.

გაერთიანების კოლექტივის მიერ განხორციელებული ოპერატიული ღონისძიებები დაეხმარა ვანის რაიონის მიწათმოქმედებს, სადაც დიდ ფართობზე გადაირეცხა ბოსტნეულის ნათესები, მის ხელახლა თესვაში. ვანელებმა, კერძოდ, მიიღეს 50 კილოგრამი პამიდვრის თესლი, 200 კილოგრამი კიტრის და 150 კილოგრამი კომბოსტოს თესლი.

— რის ხარჯზე ზრდის გაერთიანება თესლის მიწოდებას?

— პრაქტიკამ გვიჩვენა, — თქვა გ. მორჩაძემ, — რომ ყოველ გაზაფხულზე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ავდარი მიწათმოქმედებს დამატებით სიძნელეებს უქმნის. ნათესების აღდგენისათვის მათ უწინარესად ხარისხიანი თესლი სჭირდებათ. ამიტომ ჩვენი სისტემის ყველა სპეციალიზებულ მეურნეობას მიზნად აქვს დასახული მაქსიმალური რაოდენობით აწარმოოს მაღალხარისხოვანი თესლი. უკანასკნელი წლების მანძილზე, დარგის სამრეწველო საფუძველზე გადაყვანის, მექანიზაციის დონის ამაღლების წყალობით, მნიშვნელოვნად გაიზარდა თესლის დამზადება, გაუმჯობესდა მისი ხარისხი.

მაგრამ ეს საქმის ერთი მხარეა. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეა ქვეყნის მონათესავე ორგანიზაციებთან თანამეგობრობა. გაერთიანება მათთან აწარმოებს ინტენსიურ გაცვლას, საჭიროების შემთხვევაში, როგორც ეს წლევანდელ სეზონში მოხდა, შემოაქვთ თესლი სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან და სსრ კავშირის სახაგრომრეწვთან არსებული ეგრეთ წოდებული სადაზღვევო ფონდიდან.

საადრეო კარტოფილის თესლი, მაგალითად, მივიღეთ ბელორუსიიდან, საკონსერვო ჯიშების კიტრისა, რომლის მწავრე დეფიციტია რესპუბლიკაში, — რუსეთის სფსრ მეურნეობებიდან. ამ დღეებში, როცა ჩვენს რესპუბლიკას თავს დაატყდა სტიქიური უბედურება, კვლავ დაგვეხმარნენ მოკავშირე რესპუბლიკები. მარტო თვითმფრინავებით ხელახალი თესვისათვის ჩამოგვიტანეს დიდძალი პამიდვრის, კიტრის, ბადრიჯნის, წიწაკის, სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლი.

ავდრის მიუხედავად, სოფლის მშრომელები, მომიჯნავე დარგებში მომუშავე მათი კოლეგები გაერთიანებული ძალებით იბრძვიან მოსავლის გადარჩენისათვის, საიმედო დაბრკოლებას უქმნიან დანაკარგებს.

რ. ᲐᲮᲐᲙᲐᲢᲔᲚᲝᲕᲘ,
საქინფორმის კორ.

ᲡᲣᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ

ᲘᲥᲘᲗ-ᲐᲥᲔᲗ ᲛᲘᲐᲥᲕᲗ-ᲛᲝᲐᲥᲕᲗ, ᲡᲐᲠᲒᲛᲔᲚᲘ ᲕᲛᲠᲐ ᲜᲐᲮᲔᲡ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები ყოველწლიურად წარმატებით ასრულებენ მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსთვის მიყიდვის დავალებებს, ასევე საკარმიდამო მეურნეობებშიც. ისინი დიდძალ ხორცსა და ყველს აბარებენ თავიანთ პირადი მეურნეობებიდან. ეს დოვლათი თავს იყრის რაიონის ხორცისა და რძის კომბინატებში.

ასე რომ, ასეთულ ტონობით მეცხოველეობის პროდუქტები ფონდების მიხედვით ნაწილდება დანიშნულების ადგილებში. მაგრამ ერთი საინტერესო ფაქტის გარკვევა სურთ მახარაძელ მეცხოველეებს: რა განსხვავებაა მახარაძის ხორცკომბინატსა და ბათუმის ხორცკომბინატში დამზადებულ ხორცს შორის? თვით გამოცდილი ვეტერინარებიც კი გაოცებულნი მხრებს იჩეჩენ:

— არც გემოთი, არც ცხიმიანობით და სხვა თვისებებით არ განსხვავდება ბათუმისა და მახარაძის ხორცკომბინატებში დამზადებული საქონლისა და ღორის ხორცი. მაშ, თუ ასეა, რატომ ხდება, რომ ბათუმიდან ყოველ წელს 400 ტონა ხორცი იგზავნება მახარაძის სავაჭრო ქსელში. ამ „წესით“ ხდება რძისა და რძის პროდუქტების გადაზიდვა მახარაძიდან ბათუმში. ეს ხომ გასაკვირია, მაგრამ უფრო საკვირველი ის არის, რომ მახარაძის რაიონში დამზადებული ხორცი და რძე (500 ტონა მარტო ხორცი) ბათუმში გადაიკვეთ.

ბათუმიდან მახარაძემდე 60 კილომეტრია. ამოდენა გზაზე ასეთ ტონობით ტვირთის გადატანა იოლი საქმე როდია. ცდება მაწქანები, იხარჯება დიდძალი საწვავ-საპოხი, მძღოლის ხელფასი და სხვა. ამ დაუდევრობისა თუ უყაირათობის გამო ათიათასობით მანეთი იკარგება. ასევე ზარალობენ ბათუმელებიც.

აკეთ-იქით მიმავალ-მომავალი ზოფრები ხშირად ერთმანეთს ჩობულეთში ხვდებიან, გაიჩერებენ ხოლმე მანქანებს და ხორცს სინჯავენ — განსხვავება თუ არისო. ხორცი ხორცია, რადგან მახარაძის რაიონში და აქარაშიც თითქმის ერთნაირი საკვებით კვებავენ პირუტყვს, დიდი სხვაობა მაინც და-მაინც არც ბუნებრივ პირობებს შორის უნდა იყოს.

იქნებ მახარაძელებს ბათუმელთა პროდუქცია მოსწონთ და ბათუმელებს კი მახარაძელებისა? ვინ იცის, მაგრამ ეს ის არ არის, ირემმა ირემს ბალახი რომ შესთავაზა, უბრალო დაუდევრობაა, რომელიც საგრძნობ ზარალს იწვევს.

ჩ. ᲑᲔᲠᲘᲫᲔ.

ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ

ᲒᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲛᲐ, სამხრეთულმა გაზაფხულმა ერთობ დაიგვიანა. აღმოსავლეთ საქართველოს ველ-მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში ისევ მუქი ფერები ჭარბობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველგან კარგად არ გაფოთლილა ხეხილი და ვაზი, მინდვრად კი მხოლოდ საშემოდგომო ნათესებია შუქად ამწვანებული, საგაზაფხულო სამუშაოები ჭიანურდება და ახლად ნათესი ნაკვეთები ჯერ ისევ მიწისფერია.

მიწათმოქმედთა, უწინარესად სპეციალისტთა ყურადღება ახლა იქითკენ უნდა იყოს მიპყრობილი, რომ მიწა, ჩვენი მარჩენალი საგულდაგულოდ დავამუშაოთ და თანაც ლაზათიანად გამოიყენებოდეს. მიწათმოქმედების კულტურის დონის ამაღლებისათვის ზრუნვა პარტიის სასოფლო რაიკომებისა და რაისაბჭოების აღმასკომების, აგროსამრეწველო გაერთიანებების, ყოველი მუშაკის დღენიადაგ საზრუნავია.

ჩვენ მიწაზე რაღა არ მოდის: მარცვლეული, ბოსტნეულ-ბაღეული, ყურძენი, ხილი, ციტრუსი, ჩაი და ბევრი სხვა. სოფლის ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს, ყოველ მშრომელს ერთხელ კიდევ უნდა შევახსენოთ, რომ მიწა ძალზე მგრძნობიარეა, მიწა ვერ ითმენს გულარხეინობას, უყაირათობას. მიწისადმი უსულგულო დამოკიდებულებას გაავრანება მოპყვება ხოლმე, სამაგიეროდ იგივე მიწა მადლიერებით ასამაგად უნაზღაურებს მიწათმოქმედს მზრუნველობასა და ყურადღებას, უხვად ასაჩუქრებს მას შესაფერ შრომის ნაყოფით.

თვალს ახარებს ქართლ-კახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, ჯავახეთის, აჭარისა და აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის ველ-მინდვრები, ბაღ-ვენახები, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციები, მთისა და ბარის სანახები, საავარგულები. თვალს ახარებს, როცა ხედავ, თუ რა დამჯერებელ წარმატებებს მიაღწიეს წითელწყაროს რაიონის მემინდვრეებმა, გორელმა მეხილეებმა, მახარაძელმა და ზუგდიდელმა მეჩაიეებმა, ქობულეთისა და გალის რაიონების მეციტრუსეებმა, გარდაბნელმა მებოსტნეებმა, ბოლნისის მეკარტოფილეებმა, ბაბაელმა მესიმინდეებმა და კიდევ ბევრმა სხვამ.

მაგრამ რა სამწუხაროა, რომ წარმატებათა გახსენებასთან ერთად არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა სოფლის მეურნეობის განვითარების ბევრი მაჩვენებელი ჩვენში ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ მაღალი და, რაც მთავარია, კვლავ არსებითად ჩამოვრჩებით საშუალო საკავშირო დონეს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პროდუქციის წარმოებაში, განსაკუთრებით ხარისხში.

საყოველთაოდ ცნობილია, თქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აგვისტოს პლენუმზე, სწავლულ აგრარიკოსთა და სპეციალისტთა აზრი, რომ მიწათსარგებლობის თანამედროვე კულტურა ემყარება „სამ ვეშაპს“: სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის დონის სისტემატურ ამაღლებას, ნიადაგის ნაყოფიერების განუწყვეტელ ზრდას, გარემოს დაცვას. თანამედროვე პირობებში ინტენსიფიკაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ფაქტორები გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის. ისინი უაღრესად მჭიდროდ, ორგანულად უკავშირდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანებს, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენებას. არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენოთ წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომის ივანე ხუციშვილის, კოლექტიური მეურნეობის ნამდვილი მოამაგის კეთილმობილური დამოკიდებულება მიწისადმი. აქ ყოველწლიურად მარცვლეულისა და ყურძნის მყარ მოსავალს რომ იღებენ, ეს მისი დიდი დამსახურებაც არის. ასეთი სპეციალისტები ბევრია, თითქმის ყველა რაიონშია. მათი გონივრული, ნამდვილი მეცნიერული მუშაობით ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობა დაწინაურდა.

ამასთან საქმე ეხება არა მარტო დიდ მეცნიერებს, არამედ, სამწუხაროდ, ისეთ რამესაც, როგორიც არის ელემენტარული აგროწესების დაცვა, თესლბრუნვის დანერგვა, ნიადაგის მომზადება. ეს მოთხოვნები საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა აგრონომმა, ყველა ხელმძღვანელმა კარგად უნდა იცოდეს, მკაცრად იცავდეს მათ. ასეთი საშემსრულებლო დისციპლინის ფონზე კარგი ეფექტის მოცემა შეუძლია თითოეული კონკრეტული რეგიონისა და მეურნეობის შესაბამის, მეცნიერულად დასაბუთებულ მიწათმოქმედების ზონალურ სისტემებს. ეს მოთხოვნები ბოლო წლებში არ სრულდებოდა ახმეტის რაიონის მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში, პანკისის, მატნის, ზემო ხოდაშნისა და ოქიოს საბჭოთა მეურნეობებში ინტენსიური ტექნოლოგიით დასათეს სასიმინდე ფართობებში საერთოდ ან ნაწილობრივ არ გამოიყენეს პრაბიციდები. ამ მეურნეობებში ინტენსიური ტექნოლოგიით თესვა-მოყვანის დროს უგულებელყოფილი იყო შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული იერარქია მეთოდი. რაიონის მეურნეობებს უმეტესობა სიმინდის ყანებს თითოჯერ ან ორჯერ თოხნიდნენ და რწყავდნენ. ზემო ხოდაშნის, ოქიოსა და მატნის მეურნეობებმა თითოჯერ მორწყეს ნათესები. მათ ამიტომაც საგგმოსთან შედარებით 19 ცენტნერით ნაკლები მარცვალი მოიწიეს. რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ჯ. ჯავახიშვილი შექმნილ სიტუაციას ალელო ვერ უღებდა და ზემდგომ ორგანოებს აღუთქვამდა, რომ თავთავიანების დანაკლისს — 4.000 ტონა მარცვალს სიმინდის მოსავლით დაფარავდა. მაგრამ მისი დაპირება დაპირებად დარჩა, მესიმინდეებმა საგეგმო დავალებაც კი ვერ შეასრულეს. ამ და სხვა საქმეებში გულგრილობისათვის, მარცვლის წარმოების, ყურძნისა და მატყლის დამზადების გეგმების ჩაშლის, ნამატებებისა და უკანონო ოპერაციების ნაყრუების, თვალის აბეჭვის, ზემდგომ ორგანოებში არასწორი ინფორმაციის წარდგენისათვის და კადრების შერჩევა-განაწილების საქმეში დაშვებული სერიოზული დარღვევებისათვის ჯ. ჯავახიშვილს თანამდებობა დაეტოვებინეს. ასევე მიწათმოქმედებაში ინტენსიური ტექნოლოგიებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის ქარელის რაიონის დედოფლისწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომის ივანე ხუციშვილის, კოლექტიური მეურნეობის ნამდვილი მოამაგის კეთილმობილური დამოკიდებულება მიწისადმი. აქ ყოველწლიურად მარცვლეულისა და ყურძნის მყარ მოსავალს რომ იღებენ, ეს მისი დიდი დამსახურებაც არის. ასეთი სპეციალისტები ბევრია, თითქმის ყველა რაიონშია. მათი გონივრული, ნამდვილი მეცნიერული მუშაობით ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობა

ᲡᲐᲥᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ

ᲮᲣᲗᲘ წელია რუსთავის „ქიმბოჭკოს“ საწარმოო გაერთიანების № 2 კორდის საძახავ საამქროში მუშაობს მძახავი, კომუნისტი მარინე ხუნაშვილი, ერთი იმათგანი, რომლებიც აქტიურად და შემოქმედებითად ირჯებიან. იგი სისტემატურად ერთნაზევარჯერ აჭარბებს გეგმას, ამის უტყუარი საწინდარია მისი პროფესიული ოსტატობა. დაძაბული რიტმით შრომობენ მისი თანამშრომელი ამხანაგებიც.

ამა წლის პირველი კვარტალის მანძილზე აქ გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 8 მილიონი მანეთის პროდუქცია. წელს 1986 წელთან შედარებით 25 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქციას გამოუშვებენ.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელსაც გაერთიანების კოლექტივი წყვეტს, — ეს არის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, და აი შედეგიც: პირველ კვარტალში ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების გეგმა 140 პროცენტით შესრულდა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲝᲗᲘ: მძახავები მარინე ხუნაშვილი და კომკავშირელი ლეილა ალახვერდიევა მორიგი ცვლის შემდეგ.

Ф. ᲙᲠᲘᲛᲡᲙᲘᲡ ფოტო და ტექსტი.

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ბოლო თვე დადგა, მაგრამ ზამთარი მაინც თავისას არ იშლის, მთები კვლავ დათოვლილია. დაგვიანებულმა გაზაფხულმა ყველაზე მეტად ბოგდანოვკელი მიწათმოქმედები და მეცხოველეები ჩააგდო საგონებელში. აქაური მექანიზატორები იმის ნაცვლად, რომ ბენა-თესვა ჩქარდეთ გაჩაღებულიყო, საყარელებში თოვლისაგან ზეების გაწმენდას ვერ აუდიან, მხოლოდ 2 ათასამდე ჰექტარი აქვთ დათესილი.

— შარშან ამ დროს 8 ათასი ჰექტარი დათესილი გვქონდა, საქონელიც ალაგ-ალაგ საბალახოდ იყო გაყვანილი, — გვითხრა პარტიის რაიკომის ბიუროს წევრმა, მექანიზატორმა კიმ ლარსელიანმა, რომელსაც ამას წინათ რაიცენტრიდან სოფელ ეფრემოვკისაკენ მიმავალ გზაზე შევხვდით, სადაც მანქანებს თოვლში გზას უკვალავდა.

გაუთავებელი ზამთარი ყველაზე მეტად ანაოგლებთ ეფრემოვკელ მეცხოველეებს, რომელბსაც, გარდა იმისა, რომ ზამთრის რთულ პირობებში მუშაობა გაუხანგრძლივდათ, საკვების გამოლევისაც ეშინიათ. თუმცა მათ ამ სიძნელეების გამო წველადობა არ შეუმცირებიათ, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 300 ცენტნერით მეტი რძე აქვთ მიღებული. ახლებურად უკეთესად მუშაობის გაწყობილება აქაურ ფერმაში წლითთწლობით თვალსაჩინო ხდება. თითოეულმა ძროხამ შარშან შარშანწინდელზე 424 კილოგრამით მეტი მოიწველა, წველადობამ 3184 კილოგრამს მიაღწია.

პროდუქციის მნიშვნელოვანი მატების საფუძვლად გამოცდილ მწველავს ანა შილოვას ის მიაჩნია, რომ მათთან უფრო ორგანიზებული გახდა შრომა, შეიქმნა გარანტირებული საკვები ბაზა, მეტი ყურადღება დაეთმო მექანიზაციის დანერგვას, გაუმჯობესდა ზოოტექნიკური და ვეტერინალური მომსახურება. მაგრამ აქ მუშაობის ეფექტიანობის მთავარი პირობა მაინც ის არის, რომ მეცხოველეები გულისყურით ეკიდებიან ხელოვნური დათესვლის გზით პირუტყვის პროდუქტიული თვისებების შემდგომ გაუმჯობესებას.

პოტენციალი კი დიდი აქვთ ბოგდანოვკის ფერმებს. ისინი ყოველწლიურად იმდენ რძესა და ხორცს აწარმოებენ, რამდენსაც ერთად აღებული — ჩვენი რესპუბლიკის 10-14 რაიონი ამზადებს.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ შრომის შედარებისპუბლიკური დანაწილების ფარგლებში ბოგდანოვკის რაიონისათვის განმსაზღვრელია მეცხოველეობა, საკვებით მართებული იქნება, თუ აქაური მეურნეობები თავიანთ საფირმო ნიშანზე კარტოფილს გამოსახავენ. სულ რამდენიმე წელიწადია, რაც აქ კულტურა მასობრივად მოჰყავთ, მაგრამ მის აგროტექნიკაში არაერთი არსებითი ცვლილება მოახდინეს; ზედმიწევნით მიუსადაგეს ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს, სწორად შეარჩიეს ჯიშები და წინამორბედები, ახლებურად — ბელტის გადაბრუნებლად ამუშავებენ ნიადაგს, ინტენსიური ტექნოლოგიის შესაბამისად იყენებენ სასუქებსა და მცენარეთა დაცვის საშუალებებს.

უგუთნოდ ნიადაგის დამუშავებით მემინდვრეები ქარისშიერ ეროზიას ებრძვიან, ჰუმუსის დანაკარგებს ამცირებენ, თავიდან იცილებენ გვალვის მავნე გავლენას და სტაბილურ მოსავალს იწვევენ. მიწის ღალის მომატებით ეფექტიანი საშუალებაა ანეულის შემოღება, რომელიც გარკვეულწილად მცენარეს აზოტით უზრუნველყოფს, მძლავრად უვითარებს ფესვთა სისტემას.

შედეგი? შედეგი ის არის, რომ რაიონი, რომელიც 3-4 წლის წინათ სახელმწიფო ფონდიდან იღებდა კარტოფილის თესლს, საუკეთესო ხარისხის თესლი ამარაგებს რესპუბლიკის მეურნეობებს და ამ კულტურის საჰექტარო მოსავლიანობითაც წლების მანძილზე პირველობს. შარშან აქ უაღრესად არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში ჰექტარზე საშუალოდ 183 ცენტნერი მიიღეს, რაც 65 ცენტნერით აღემატება შესაბამის საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებს და ამ მასშტაბით რეკორდულიც არის.

ამ მიზნის მიღწევას მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო იმანაც, რომ მეკარტოფილეები იჯარის მეთოდით მუშაობდნენ.

ოროჯალარის კოლმეურნეობაში, სადაც ყველა ქვეგანაყოფი სამეურნეო ანგარიშსა და იჯარზეა გადასული, ჰექტარზე საგეგმო 160 ცენტნერის ნაცვლად 226 ცენტნერი მიიღეს, ვართუშ თაზიანის საოჯახო ბრიგადამ კი 305 ცენტნერი. ამ მაჩვენებელმა, შრომის ნაყოფიერების მატებისათვის ოჯახის წევრების გულმოდგინე მეცადინეობამ ეკვივალენტი პოვა ფულადი გამოხატულებით. შარშან ამ საოჯახო ბრიგადის შრომის ანაზღაურებამ მარტო კარტოფილის მოყვანისათვის 3100 მანეთი შეადგინა, მეურნეობამ კი პროდუქციის წარმოებისათვის დახარჯულ ყოველ მანეთზე მანეთი და 40 კაპიკი სარგებელი მიიღო.

— 27 პროცენტით. ამ ორი მაჩვენებლის შეფარდებაზე კი ბევრი მნიშვნელოვანი სასიცოცხლო მაჩვენებელია დამოკიდებული, უწინარესად კი რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპის დაჩქარება, რაც მეთორმეტე ხუთწლედში რაიონის მშრომელთა მთავარი მიზანია.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ინტენსიურად მუშაობდეს ყოველი ჰექტარი მიწა და ფერმა, თითოეული შრომითი კოლექტივი.

— წარმოების ტემპის მკვეთრი დაჩქარება, — ამბობს პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ვასილ ქორნოანი, — ისეთი რთული დარგში, როგორიც არის სოფლის მეურნეობა, ძნელი საქმეა და კიდევ უფრო რთული — მაღალმთიან რაიონებში, სადაც მეტისმეტად ხანმოკლეა სავეგეტაციო პერიოდი. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ამგვარ პირობებშიც შესაძლებელია დიდნაყოფიერი დარგება, თუ წარმოების ყველა რგოლში მარჯვედ გამოიყენება ინტენსიური ტექნოლოგიებთან შეხამებული სამეურნეო ანგარიში და კოლექტიური იჯარა. დაჩქარების ამ ფორმულის არსი უდევს საფუძვლად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკების მიმდინარე გამარჯვებას. იმას, რომ შარშან მეთერთმეტე ხუთწლედის საშუალო წლიურ მაჩვენებელთან შედარებით ხორცის დამზადებამ მოიმატა 510 ტონით, რძისამ — 2137 ტონით, მარცვლეულისამ — 201 ტონით, კარტოფილისამ — 4097 ტონით. ალაზანი და სამეურნეო ანგარიშის ათვისებამ მუშაკებს საწარმოო კულტურა შეამატა, ისინი უფრო მეტ ინტერესს იჩენენ მეცნიერული ცოდნის შეძენისადმი. ამიტომ ჩვენ, ხელმძღვანელები, ვალდებული ვართ ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი წარმოებისა და სამეცნიერო კოლექტივების კავშირის განმტკიცებას, სპეციალისტების როლის გაძლიერებას.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ: ᲒᲐᲠᲓᲐᲢᲔᲮᲘᲡ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ

ᲑᲐᲒᲠᲐᲢ ᲨᲘᲜᲭᲣᲑᲐᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

12 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში ლენინის ორდენი და სოციალისტური შრომის გმირის ოქროს medaliი „ნამგალი და ურო“ გადასცეს აფხაზეთის სახალხო პოეტს ბაგრატ შინქუბას.

გადასცა რა სამშობლოს საპატიო ჯილდო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა გულთბილად მიულოცა აფხაზეთის მხატვრული სიტყვის თვალსაჩინო ოსტატს დამსახურებული აღიარება, უსურვა დიდი შემოქმედებითი წარმატებანი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის სადიდებლად.

შემდეგ გამოვიდა ბაგრატ შინქუბა, რომელმაც გულითადი მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მისი შემოქმედების ესოდენ დიდი შეფასებისათვის.

— ეს ჯილდო დაიმსახურა მთელმა აფხაზურმა ლიტერატურამ, იგი ეკუთვნის ყველა ჩემს თანამოკალმეს, — თქვა მან. — ჩემთვის ამ საზეიმო დღეს დიდ მადლობას მოვახსენებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომლებიც დიდად ზრუნავენ აფხაზური ლიტერატურის აყვავებისათვის, სიყვარულითა და ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მის განვითარებას.

ჯილდოს გადაცემის ცერემონიას დაესწრნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, ა. ნ. გლურჯიძე, გ. ნ. ენუქიძე, გ. დ. მგელაძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, გ. გ. გუმბარიძე, გ. ხ. ემირიძე, ტ.ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია, ვ. მ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, რესპუბლიკის შემოქმედი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

• • •

სოციალისტური სამშობლოს ცხოვრებასთან განუყრელი კავშირი, საბჭოთა ხალხების მეგობრობა და ძმობაა აღბეჭდილი აფხაზეთის სახალხო პოეტის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ბაგრატ შინქუბას შემოქმედებაში. მხატვრული სიტყვის ოსტატის დაბადების 70 წლისთავს მიეძღვნა საიუბილეო საღამო, რომელიც 12 მაისს გაიმართა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში.

დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, ახალგაზრდობა, ბაგრატ შინქუბას მკაფიო და თავისთავადი ნიჭის მრავალი თაყვანისმცემელი.

საიუბილეო საღამოზე მოვიდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. გლურჯიძე, გ. ნ. ენუქიძე, გ. დ. მგელაძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, გ. გ. გუმბარიძე, გ. ხ. ემირიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია, ვ. მ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, რესპუბლიკის შემოქმედი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, პოეტის იუბილეს მომზადება რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარემ გ. ენუქიძემ.

ორატორებმა, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. ცაცანაშვილი, ს

სიახლე და აგროსამრეწველო კომპლექსი

განვიხილავთ სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის პროექტს

საქართველოს საწარმოს (გაერთიანების) შესახებ ახალი კანონის პროექტი მოიცავს მატერიალური წარმოების იმ დარგებსა და სფეროებს, რომლებიც წარმოების საშუალებებზე ჩვენში არსებული სახელმწიფო ანუ საერთო-სახალხო საკუთრებას გაანკუთვნებიან. ესენია საწარმოები, რომლებსაც უფლება აქვთ გეგმისა და ხელშეკრულების შესაბამისად დაამზადონ პროდუქცია, შეასრულონ ესა თუ ის სამუშაო, განახორციელონ მომსახურება და მოახდინონ რეალიზაცია.

არადა, როგორც ქვეყნის კონსტიტუციით არის დაკანონებული, სსრ კავშირში, აღნიშნულის გარდა, არსებობს საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრება და მის საფუძველზე აღმოცენებული კოლმეურნეობები ანუ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივები და სხვადასხვა სახის კოოპერაციული გაერთიანებები.

ამასთან, როცა სახელმწიფო საწარმოებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს მატერიალური დოვლათის ისეთი მოპოვება, რომელიც დაკავშირებულია საწარმოო გადამუშავებასთან. ასეთი საწარმოები, როგორც ცნობილია, მოქმედებენ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, უპირველეს ყოვლისა აგროსამრეწველო კომპლექსში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში, მომსახურების სფეროში... საწარმოს შეუძლია ერთდროულად ეწეოდეს რამდენიმე საქმიანობას, ანუ ითქმის სწორედ იმ საწარმოებზე, რომლებიც აგრარულ-სამრეწველო კომპლექსში შედიან.

მაშასადამე, ნათქვამიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ ახალი კანონი არ ეხება საბჭოთა მეურნეობებს, აგრეთვე საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ფორმით გაერთიანებულ საწარმოებს, მათ შორის, ბუნებრივია, კოლმეურნეობებს.

არადა, სამწუხაროდ, კანონის პროექტის პირველი უხლის პირველსავე პუნქტში შეტანილი აბზაცი იმასთან დაკავშირებით, რომ: „სახელმწიფო საწარმოები (გაერთიანებები), კოოპერაციულთან ერთად, შეადგენენ ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ძირითად რგოლს“, რომ „საწარმოებს (გაერთიანებებს), განეკუთვნებათ მთავარი როლი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განვითარებასა და სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოების უმაღლესი მიზნის მიღწევაში — ადამიანების მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა ყველაზე სრულ დაკმაყოფილებაში“... ეს ერთობ დიდ გაუგებრობას იწვევს, კერძოდ აქ ხსენებული ტერმინი „კოოპერაციულთან ერთად“ გვაფიქრებინებს, რომ კანონი ვრცელდება საკოლმეურნეო-კოოპერაციულ საწარმოებზე, მათ შორის კოლმეურნეობებზე.

როგორც ცნობილია, კოლმეურნეობები მთელ თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სპეციალურად შემუშავებული წესდების საფუძველზე, რომელსაც სხვანაირად სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებასაც ეუწოდებთ. ამის გამო სახელმწიფო საწარმოებიდან ისინი არსებითად განსხვავდებიან მართვის ორგანიზაციის, წარმოებული პროდუქციის მითვისებისა და მისი რეალიზაციის ფორმებით.

ამასთან არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თავისი სოციალურ-ეკონომიკური ბუნებით ყველა ისინი, ესე იგი როგორც სახელმწიფო, ისე საკოლმეურნეო-კოოპერაციული საწარმოები, ერთტიპურნი. სხვანაირად რომ ვთქვათ, წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული ერთიანი სოციალისტური ტიპის საწარმოთა ორ სახეს წარმოადგენენ.

სხვათა შორის, ასევე ითქმის სულ ახლახან მიღებული დადგენილებების შესაბამისად საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების კოოპერატივების შექმნის შესახებ. ამ კოოპერატივებმა, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, სახელმწიფო საწარმოთა მოქმედი სისტემის დამატებით უნდა მოაწყონ ისეთი ნაწარმისა და საქონლის წვრილსერიული წარმოება და მომსახურება, რომელზეც მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნაა.

ამასთან, ამ შემთხვევაში მთავარია იმის აღნიშვნა, რომ ისინი სახელმწიფო საწარმოებისაგან განსხვავებით თავიანთ საქმიანობას მოარეგულირებენ სპეციალურად შემუშავებული წესდების საფუძველზე. იგი რეგისტრირებული უნდა იყოს სახალხო დეპუტატთა რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასკომში.

მაშასადამე, გასაგებია, რომ სახელმწიფო საწარმო არის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს საერთო-სახალხო საკუთრების გაცალკევებული ნაწილი და დამოუკიდებელი ბალანსი.

ახლა რამოდენიმე სიტყვა აგროსამრეწველო კომპლექსის, კერძოდ, მასში შემავალი საწარმოო დარგების შესახებ. მეურნეობრიობის ახალ ეკონომიკურ პირობებში მომუშავე აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებზე, რომლებზეც ვრცელდება სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონი, მოდის წარმოებული ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ერთი მესამედი. სხვათა შორის, ქვეყნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობიდან (118,5 მილიონი), თითქმის 40 პროცენტი (45,4 მილიონი) დასაქმებულია ამ კომპლექსის საწარმოო დარგებში.

ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოდ გამოიყურება ჩვენი რესპუბლიკა. აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო დარგებს ჩვენთან უფრო დიდი ხვედრითი წილი ეკუთვნით. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მათი პროდუქციის ზრდისა და მატების ტემპს. შარშან, მაგალითად, ამ კომპლექსის მარტო კვების მრეწველობის დარგების სასაქონლო პროდუქციისა 7,4 პროცენტით გაიზარდა. ანალოგიური მაჩვენებელი კავშირის მასშტაბით მხოლოდ 4 პროცენტს უდრიდა.

ამასთან, როგორც ოფიციალური სტატისტიკური მასალებიდან ჩანს, რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ხაზით არ შესრულდა მთელი რიგი პროდუქტების წარმოების 1986 წლის გეგმა. ასე ითქმის, მაგალითად, ხეხვეულზე, თევზის კონსერვებზე, საკონდიტრო ნაწარმზე, მინერალურ წყლებზე... უფრო მეტიც, აქ დამზადებული პროდუქციის ხარისხი ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას.

სახელმწიფო საწარმოთა შესახებ ახალი კანონი, ისევე როგორც საერთოდ, აგრარულ-სამრეწველო საწარმოებშიც შეიკვლის მეურნეობრობის პირობებს და მეთოდებს, დაკანონებს თვითმმართველობის ახალ ფორმებს.

ამასთან ერთად, ახალი კანონის პროექტის მიმართ გვაქვს რამდენიმე შენიშვნა:

უპირველეს ყოვლისა, მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის შესახებ. მე-3 აბზაცში მითითებულია, რომ „მოთხოვნის არსებობისა და წარმოების დამატებითი რეზერვების და რესურსების გამოვლენის შემხვეველი გეგმა, რომელიც აღემატება ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს“. ამის მიუხედავად, არსად არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ასეთი დამატებითი მაჩვენებლების მიღწევა. მხედველობაში გვაქვს შემხვედრი გეგმით პროდუქციის გამოშვებისათვის საჭირო შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსების საწარმოთა უზრუნველყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში თავიდან ვერ ავიცდენთ ფორმალიზმს, რასაც საშუხაროდ, ზოგან ვაწყდებით ჩვენს დღევანდელობაში.

მეორე შენიშვნა ეხება მე-18 მუხლში შეტანილ დებულებას იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმოებმა სახელმწიფო ბანკისაგან მიღებული კრედიტი უნდა დაფარონ წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის (ანალოგიური დანიშნულების სხვა ფონდების) სახსრების ხარჯზე.

ასეთი მოტივი სწორად არ მიგვაჩნია. იგი შელახავს აღნიშნული ფონდების ავტორიტეტს. არადა, ჩვენს დროში სწორედ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას უნდა მიეცეს ჯეროვანი, და ვიტყოდი, უპირველესი მნიშვნელობა, ჩვენი აზრით, აღნიშნული კრედიტები უნდა დაიფაროს სწორედ, ეგრეთ წოდებული, კოლექტივის სამეურნეოთანგარიშებრივი შემოსავლიდან (ეს ტერმინი კანონის პროექტში პირველად არის ხსენებული).

და ბოლოს, საწარმოთა ანგარიშგების შესახებ: 22-ე მუხლის პირველ პუნქტში ნათქვამია, რომ „საწარმოს ანგარიშგების ფორმები, მათი წარდგენის მისამართები და ვადები განისაზღვრება დადგენილი წესით. ყოველგვარი სხვა ანგარიშგების მოთხოვნა და წარდგენა აკრძალულია“. ვფიქრობ, საჭიროა იქვე მეთითოთს, რომ ასეთ წესს ადგენენ და აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობას არეგულირებენ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები. ამასთან ძალე მუხლში უნდა შევიტანოთ დამოუკიდებელი პუნქტი ეკონომიკური სამსახურის გაძლიერების აუცილებლობის, კერძოდ, საწარმოო ანალიზის სათანადო დონეზე დაყენებისა და ახალი აუმოქმედებელი რეზერვების გამოვლენა-გამოყენების შესახებ.

კლ. ელიზბარაშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

კრიტიკული გამოსვლის შედეგ

„კომუნისტის“ ინფორმაციიდან

უპასუხებენ

ღონისძიებებმა ნაყოფი უნდა გამოიღოს

ჩვენი გაზეთის 24 იანვრისა და 23 მარტის ნომერში დაბეჭდილი კრიტიკული წერილები — „მაგიური სავიზიტო ბარათი“ და „შეაყარე კედელს ცერცვი“ — ეხებოდა სამგზავრო თვითმფრინავების ბილეთების გაყიდვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. ამის გამო საქართველოს სსრ სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსი კ. კურტანიძე რედაქციას წერს:

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელობას, რომელიც მოლიანად იწონებს გაზეთ „კომუნისტის“ აქტიურ და მოწინავე პოზიციას ხაზოვადოებრივი აზრის ფორმირების ორგანიზაციაში, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლისა და კრიტიკის განვითარებაში, მიაჩნია, რომ კრიტიკა, რომელიც 1987 წლის 24 იანვრის სტატიაში „მაგიური სავიზიტო ბარათი“ და ამავე წლის 23 მარტის სტატიაში „შეაყარე კედელს ცერცვი“, გამოითქვა, სამართლიანია, ფაქტები სწორია და მტკიცე ღონისძიებებს მოითხოვს.

გამოქვეყნებიდან სამი დღის შემდეგ გაიმართა სამმართველოს საბჭოს სპეციალური სხდომა, რომელმაც განიხილა სტატია და ცნო, რომ მუშაობა, რომელსაც ხელმძღვანელი : შემადგენლობა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიები ეწევიან, ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს. არსებული ნაკლოვანებანი სუსტი ორგანიზატორული და სამმართველო მუშაობის შედეგია.

საბჭოზე მიღებულ გადაწყვეტილებაში გათვალისწინებულია მთელი რიგი ორგანიზაციული, პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო ხასიათის ღონისძიებანი; ბრალეულნი პასუხს აგებენ.

მაგალითად, გადაისინჯა მგზავრთა მომსახურების ტექნოლოგია, კოლექტივებთან. სპეციალიზებული შეხვედრები მოეწყო მუშაობის სწორი ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, დაისახა ტექნიკური და საინფორმაციო უზრუნველყოფის ღონისძიებანი. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა, რომ გამოგზავნოს კომკავშირელები მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაციის სამსახურში სამუშაოდ.

იმისათვის, რომ ქმედითი ღონისძიებანი არ განხორციელეს მგზავრთა მომსახურების გარდასაქმნელად და კულტურის ასამაღლებლად და დაუშვეს მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაციის წესების დარღვევა, თანამდებობიდან განთავისუფლდნენ ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სააგენტოთა უფროსები ნ. ცაცაშვილი და ნ. მახარაძე.

სასტიკი საყვედური გამოეცხადათ თბილისისა და სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმების უფროსების პირველ მოადგილეებს ე. ჩაჩავას და ზ. ხაინდრავას, მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთზიდვის ორგანიზაციის სამსახურების უფროსებს ვ. ჯაბბაზიშვილს, რ. მელაძეს, ნ. გოგოლიშვილს და ბ. ღურწკაიას.

საბჭოს გადაწყვეტილებით, აგრეთვე საწარმოთა ხელმძღვანელების საბჭოს წინადადებით მოლარის თანამდებობიდან განთავისუფლდა 24 კაცი.

ჩვენი აზრით, განხორციელებულმა ღონისძიებებმა გარკვეული როლი შეასრულა მგზავრთა მომსახურების მოგვარების საქმეში.

ამასთანავე, ისიც ვიცით, რომ ეს ღონისძიებანი წარმატების საწინდარი ვერ გახდება, და წინ კიდევ უფრო გამიზნული, მკაცრი და შეურიგებელი ბრძოლა მოგველის, როგორც ამას მოცემულ საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილება მოითხოვს.

სამმართველოს ხელმძღვანელობა ბოდიშს იხდის კრიტიკულ შენიშვნაზე პასუხის დაგვიანებისათვის და გაცნობებთ, რომ იმ პასუხისმგებელი მუშაკების მიმართ, რომლებმაც პასუხი დააყოვნეს, ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებანი განხორციელდა.

სტატიის გამოქვეყნების შემდეგ სამმართველოს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა კომპლექსურად შეიწესწავლოს საერთოდ კრიტიკისა და კერძოდ პრესაში კრიტიკისადმი ხელმძღვანელთა დამოკიდებულების საკითხი და გამოტანოს დასკვნები პარტიის 1987 წლის იანვრის პლენუმის სულისკვეთების შესაბამისად.



ნავსადგურის რიტმები

დღედაღამ ჩქეფს ცხოვრება ფოთის ნავმისადგომებთან. შემოდიან მრავალმილიანი ძნელი საზღვაო და საოკეანო გზების შემდეგ მოსული ხომალდები, შორეულ ნაოსნობაში მიდიან სხვადასხვა დროშით დამშვენებული გემები და მიაქვთ სხვადასხვა ტვირთი. და თითქმის ყველა მათგანს, დოკერები ამუშავებენ ვადამდე, ზოგჯერ დღომის დროს.

დატვირთვა-განტვირთვის ოპერაციების მექანიზაციის მაღალი დონით გამოირჩევა დღეს ნავსადგურის კოლექტივი, რომელიც თვიდან თვემდე გადაჭარბებით ასრულებს საგეგმო დავალებებს. ფოთელმა დოკერებმა გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად.

სურათებზე: დისპეტჩერი ზურაბ ნანავა უნარიანად და ზუსტად ხელმძღვანელობს დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოებს; ფოთის ნავსადგურის რიტმი.

მ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დაჩქარების ფორმულა

(დასასრული)

საქმისადმი ამგვარი მიდგომის ნაყოფია ის, რომ რაიონის მიწათმოქმედებმა საცდელ ნაკვეთებში კარტოფილის 20-მდე ჯიში შეამოწმეს. ექსპერიმენტებს მანამდე არ მოუშვენენ, სანამ არ დარწმუნდნენ, რომ მათს ნიადაგურ-ყლიმატურ პირობებში ყველაზე უხვ და სტაბილურ მოსავლის იძლევიან ჯიშები — სულეიკე, ვიქტორია, დიამანტი. მემინდვრეებმა ასევე საკუთარ მინდორში დაადგინეს, რომ დიდი მოსავლის დაპროგრამებისათვის ყველაზე საიმედოა ქერის ჯიშები — სპარტანი და ელგინა, საკვები ძირხვენები — ეიენდორფი და ბეტა როზა.

საკვებწარმოების ინტენსიფიკაციის წყალობაა, რომ ბოგდანოვკიდან მთელ ზამთარ-გაზაფხულს თვითო დატვირთული ავტომანქანებისაგან შემდგარი კოლონა კოლონას მიჰყვება სტაქიით დაზარალებული რაიონებისაკენ. დღემდე ბოგდანოვკელებმა მესტიის, ჭიათურის, ხობის, ვანის, ლენტეხის, ფუშეთის რაიონების გასაჭირში ჩავარდნილ მეცხოველეებს უსასყიდლოდ გაუგზავნეს 300 ტონაზე მეტი საკვები. ეს მეგობრული დახმარების ჩვეულებრივი მაგალითია, მაგრამ ამავე დროს იმაზეც მეტყველებს, რომ ბოგდანოვკელებმა საკუთარი სტაბილური საკვები ბაზის შექმნის პრობლემა გადაჭრეს. არადა, რამდენიმე წლის წინათ თვითონვე იყვნენ სხვის ხელში შემყურნენი. ნამჯა რესპუბლიკის გარეთან ან კახეთიდან შემოქონდათ.

გარდაქმნის ეს პოზიტიური ტენდენციები ბოგდანოვკის რაიონში დღითი დღე ძალას იკრებს, მაგრამ აქაურ მშრომელებს ისიც კარგად აქვთ შეგნებული, რომ სამმავალო ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს ძალისხმევა ყველა მიმართულებით.

— მიღწეულთან დაუკმაყოფილებლობის გრძნობას განსაკუთრებით ის გვიძლიერებს, — გვითხრა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ქოჩრიანმა, — რომ ჩვენი, ეგრეთ წოდებული, რეკორდები შესაბამისი საკავშირო საზომების ფონზე ძალზე მოკრძალებულად გამოიყურება. მაგალითად, ამას წინათ გაეცანით ბელორუსიის ბარანოვიჩსკის რაიონის სოფლის მშრომელთა საწარმოო შედეგებს. ეს რაიონი თავისი რესპუბლიკის პირობებში საშუალოა, მაგრამ ჩვენ მათ მიერ მიღწეულ მიჯნებს საკმაოდ ჩამოვრჩებით. ამიტომაც მეთორმეტე ხუთწლედში ორიენტირად დავისახეთ საკავშირო დონე პირუტყვის პროდუქტიულობასა და თითოეული ჰექტარი სავარგულის უკეთესობაში.

ამ სულისკვეთების ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ წლიურს ბოგდანოვკის რაიონი შარშანდელი ტემპის გასწრებით ამზადებს ხორცსა და რძეს. ჯერჯერობით მატებამ შესაბამისად 1440 და 2500 ცენტნერი შეადგინა.

ეს აგრეთვე იმას მოწმობს, რომ ბოგდანოვკელები წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას — თავიანთი ძირითადი ველის გადამეტებით სტიქიით დაზარალებული მესტიის რაიონის ანგარიშზე 1500 ტონა რძე მიჰყიდონ სახელმწიფოს.

მაგრამ სიტყვისა და საქმის ერთიანობის, პატიოსანი, დიდნაყოფიერი შრომის დაფასებისათვის რაიონში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ეს, უწინარესად, იქიდანაც ჩანს, რომ შარშან აქ 1214 შრომისუნარიანმა კოლმეურნემ საავადმყოფო მინიმუმი არ გამოიმუშავა. ამ მთავარი რეზერვის გამოუყენებლობამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ის, რომ რაიონის 9 მეურნეობამ მარცვლეულის წარმოების გეგმა ვერ შეასრულა, 14-მა კი რძისა.

რაიონში ადამიანების გააქტიურების, მათი შეგნების ამაღლებისა და გამოცდილების სრულად გამოყენების პრობლემა მწვავედ დგას არა მარტო საშუალო, არამედ დაწინაურებულ მეურნეობებშიც.

აი, მაგალითად, გორელოვკის კოლმეურნეობაში, რომელიც ერთ-ერთი დიდრენტაბელურია ბოგდანოვკაში და მისი ყოველწლიური შემოსავალი ბოლო 3-4 წელიწადში მილიონ 160 ათასი მანეთით გაიზარდა, გამგეობის თავმჯდომარეს კუზმა მარკინს ამ წარმატების შენარჩუნება-გამრავლების აუცილებელ პირობად ესახება ის, რომ რეზერვების გამოუყენებლობისა და ნაკლოვანებებისათვის უფრო მკაცრად მოეკითხოთ დარგის სპეციალისტებს. იგი ამის პირად მაგალითსაც იძლევა. მან საჯაროდ, მოურიდებლად გააკრიტიკა ფერმის გამგე თ. ბელოუსოვი იმის გამო, რომ ზოგჯერ მან არ იცის, თუ რა ხდება ფერმაში და რა საჭირბოროტო საკითხეს სჭირდებათ ოპერატიული მოგვარება, მთავარი ზოოტექნიკოსი ვ. ტამილინი კი გაკიცხა იმისათვის, რომ მეცხოველეები მას ფერმაში იშვიათად ხედავენ; ამასთან არც თვითკრიტიკას მოერიდა: აღიარა, რომ კოლმეურნეობის გამგეობა, პირადად მისი თავმჯდომარე მთელ ძალებს ახმარენ წარმოების იფექტიანობას და ნაკლებად ზრუნავენ კოლმეურნეთა მუშაობისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, რაზეც ბევრად არის დამოკიდებული ადამიანების შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის მკვეთრი გადიდება.

დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და ურთიერთმეთხოვნელობის ვითარების შექმნისათვის ხელმძღვანელის ეს წრფელი მეცადინეობა ერთგვარი კრიტერიუმია მისი დამოკიდებულებისა გარდაქმნისადმი, შთაგონებულია ბუნებრივი სურვილით, რომ კოლმეურნეობაში ყოველდღიურ პატარა საქმესაც კი ყველა უდრტვინველად და უზადოდ აკეთებდეს.

და აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ კ. მარკინის არჩევის ამბავი. ამ ხელმძღვანელის კანდიდატურა სოფლმა დაასახელა, რაიკომს კი თავისი კადრი — უმალღესდამთავრებული, გამოცდილი სპეციალისტი ჰყავდა შერჩეული, მაგრამ მაინც ხალხს სურვილს დაჰყვა და არჩევანი დემოკრატიული პრინციპით მოახდინა. კოლმეურნეებმა, რა თქმა უნდა, წინამძღოლად თავიანთი კანდიდატი აირჩიეს და იმავე დღიდან მხარში ამოუდგნენ. ამ თანადგომამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ იმავე მიწაზე, იმავე ადამიანების გარჯით რძის მატებამ 1100 ტონა, ხორცისამ — 30 ტონა და მარცვლეულისამ — 400 ტონა შეადგინა.

ეს წინსვლა ძირითადად იმის შედეგია, რომ ხალხმა ირწმენა ხელმძღვანელის და გარდაქმნისათვის ძალ-ღონეს აღ ეშურებს.

ამგვარი მაგალითები პარტიის რაიკომის მუშაკებს უკარნახებს ხშირად შეიარონ ფერმებსა და სხვა უბნებში, სადაც რეალური, შეუღამაზებელი ცხოვრებაა მთელი თავისი სირთულეებითა და სიძნელეებით. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, კონკრეტულ საქმესთან მიახლოება რაიკომს უადვილებს გამოავლინოს და მხარი დაუჭიროს სასარგებლო ინიციატივას, შეკრიბოს აზრთა მაქსიმუმი და მათი ანალიზის საფუძველზე სწორი დასკვნა გამოიტანოს. ხალხთან დღენიადაგ კავშირი და მათთან მოთათბირება ამავე დროს კადრების შერჩევასა და განაწილებაში შეცდომების თავიდან აცილების გარანტიაც არის.

ვ. კასარაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

უმრავლესობის სახელით!

ამონაწერი პარტიის ვანის რაიკომის ბიუროს 30 იანვრის სხდომის ოქმიდან: „განიხილა რა რაიონის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა, პარტიის რაიკომის ბიურომ აღნიშნა, რომ № 68 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში (დირექტორი ს. ხარძეიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ნ. შენგელია) სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზებია სასწავლო-აღმზრდელობითს პროცესში, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში, მასწავლებელთა და აღმზრდელთა კადრების შერჩევასა და განაწილებაში. განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ტექნიკური ჯგუფების სასწავლო კონტინგენტის 50 პროცენტს შეადგენენ საწარმოებსა და დაწესებულებებში მომუშავე პირები, რომელთაც თავიანთი შრომითი საქმიანობის გამო შეუძლებელია ჰქონდეთ პროფტექსასწავლებელში დღისით სწავლების საშუალება...“

მარტო ეს ფაქტიც, რა თქმა უნდა, ღირდა საგანგაშოდ. აშკარაა, რომ აქ, სადაც მოსწავლეთა სიის ნახევარი მუშა-მოსამსახურეთა გვარებით არის შევსებული, ათასგვარ მანკიერებასა და მაქინაციას უნდა ელოდოს კაცი. ამიტომაც დაივალა რაიონის პროკურატურას კომპლექსურად შეესწავლა სასწავლებლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა, აგრეთვე გაერკვია, რამდენად სწორად იყო დაკომპლექტებული სასწავლო ჯგუფები, ვის და რამდენი ეძლეოდა სტიპენდია, როგორ იხარჯებოდა სახელმწიფოს მიერ სასწავლებლისთვის გამოყოფილი სახსრები.

აღმოჩნდა, რომ აქ, სასწავლებელში, იმათ თვალწინ, ვისაც პატივი ჰქონდა მასწავლებლის წოდება სახელი ეტარებინა, დანაშაული დანაშაულს მოსდევდა, რამაც საბოლოოდ უაღრესად მძიმე და სავალალო ნაყოფი გამოიღო.

ჭურჭს, მოგეხსენებათ, ბნელი ღამე უყვარს. სასწავლებლის დირექტორის ს. ხარძეიშვილისა და მისი თანამზრახველებისათვის ასეთი „ბნელი ღამე“ იყო მასწავლებელთა კოლექტივის ლამის სრულ გულგრილობამდე მისული პასიურობა. ბევრი იმათგანი, ვინც ყმაწვილებს ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით მაღალ მოქალაქეობრივ პოზიციასა და ზნეობას „შთააგონებდა“, იოლად ახერხებდა ისე არხეინად ჭიროდა თავი, ვითომც სულაც ვერ ხედავდა და გრძნობდა, როგორ თანდათან ეფლობოდნენ მავანნი ამორალობის ჭაობში. ზოგი მათგანი, ეტყობა, ახლაც, ესოდენ გახმაურებული სამარცხვინო ამბის შემდეგაც, ცდილობს თავი დაიმშვიდოს, აქაოდა, მე უბრალო ვარ, თვითონ არაფერ მაქინაციაში გავრეულვარო.

თავის მოტყუებაა ასეთი პოზიცია და სხვა არაფერი; შეუძლებელია წუმპეში ისე იაროს ვინმემ, ტერფზეც არა მოეცხოს რა!

განა შეიძლება დავიჯეროთ, რომ მასწავლებლები და აღმზრდელები ვერ ხედავდნენ, რამდენი სიყალბე იყო თუნდაც სასწავლებლის მოსწავლეებით დაკომპლექტებაში! აქ ხომ მარტო ერთ, 1986-1987 სასწავლო წელს შეიტანეს მოსწავლეთა სიაში ბევრი ისეთი ადამიანის გვარი, რომლებიც ერთ დღესაც არ უნახავთ კლასებსა და სახელოსნოებში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სულ სხვაგან იყვნენ — საწარმოებსა და დაწესებულებებში სამუშაოდ და პროფტექსასწავლებელში სწავლა აზრადაც არ ჰქონიათ. ამ კატეგორიის „მოსწავლეებს“ კი ყოველთვე გულმოდგინედ ეწერებოდათ სტიპენდია, რომელმაც მარტო ერთ სასწავლო წელს 6 ათას მანეთს მიაღწია.

ამგვარივე დანაშაული ხდებოდა 1985-1986 სასწავლო წელს. თქვენ წარმოიდგინეთ, მარტო ერთ, 114-ე ტექნიკურ სასწავლო ჯგუფში მხოლოდ 7 ყმაწვილი დადიოდა სასწავლებლად, სიით კი ოცდაათი უნდა ყოფილიყო, და ასე იყო სხვა ჯგუფებშიც. იქამდეც კი მიგვიდეს, რომ სასწავლებლის მოსწავლედ კარგა ხანს ასაღებდნენ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ სტუდენტ ბოგონას, რომელმაც ადრე დაამთავრა ეს პროფტექნიკური სასწავლებელი (რა ვიფიქროთ, კარგი მოსწავლე არ ეთმობოდათ თუ ყოველ თვეს მის სახელზე უკანონოდ გამოწერილი სტიპენდია!?).

ერთი სიტყვით, მარტო ორ წელიწადში ასეთი ხერხითა და მეთოდით სასწავლებელში ათასობით მანეთი მითვისესენ. ამ სოლიდურ თანხას უნდა დავუმატოთ ის ფულიც, რომელიც ყალბად გაფორმებული მოსწავლეების სახელზე მათ ძირითად სამუშაო ადგილს იწერებოდა, ვითომდა, საწარმოო პრაქტიკის დროს გამოიმუშავესო. მეტიც — ყოველგვარი წესისა და რიგის დარღვევით პროფტექსასწავლებელს გადაერიცხებოდა ხოლმე ამნაირი „პრაქტიკით“ მიღებული თანხის 50 პროცენტი.

მადა ჭამაში ისე მოემატა სასწავლებლის დირექციას, რომ ვერა და ვეღარ დაასკვნა „მიღწეულს“. იმდენი ქნა, ზემდგომ ორგანოებს თითოეულ სასწავლო ჯგუფზე საწარმოო სწავლების ოსტატთა თითო ერთეული დაამატებინა, მოზღვავებულ მოსწავლეთა სწავლასა და პროფესიაში გაწაფვას ვეღარ ავუდევართო. შემდეგ ამ კატეგორიის მუშაკთათვის ხელფასი, ცხადია, უკანონოდ იწერებოდა.

ცალკე საუბრის თემად ღირს პროფტექსასწავლებლის მასწავლებელთა კვალიფიკაცია. მარტო ჟურნალებში ჩახედვაც კმარა იმის გასაგებად, თუ რა დონეზე მასწავლებლობდა ბევრი მათგანი. ზოგჯერ ამ ჟურნალებში საერთოდ არ არის შეტანილი ნიშნები, რომლებსაც მოსწავლეები გაკვეთილებზე თუ სემესტრის ბოლოს იმსახურებდნენ, ზოგჯერაც ნიშანს თავიანთი გუნება-განწყობილების მიხედვით წერდნენ და იმასაც არ დაგიდეგდნენ, ესწრებოდა თუ არა გაკვეთილს ესა თუ ის მოსწავლე.

ისე, ყველაფერს ცოდნა უნდა, მათ შორის — სასწავლო ჯგუფის ჟურნალის წარმოებასაც, ამდენს კი ვერ მოსთხოვდნენ, კერძოდ, სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატებს (26 ოსტატიდან ხომ მხოლოდ იქვს ჰქონდა მიღებული სათანადო განათლება).

მეტი რომ არა ვთქვათ, გასაოცარია ნდობა, რომელსაც რესპუბლიკის პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკი ესოდენ საეჭვო რეპუტაციის სასწავლებელს უცხადებდა დიდი ხნის განმავლობაში.

აი, კერძოდ, შარშან 20 ნოემბერს, აქ შესამოწმებლად ყოფილა სახელმწიფო კომიტეტის სოციალურ-სარეგიზიო განყოფილების რეგიზორ-ბუღალტერი ტ. კვეესაძე.

ჭეშმარიტად: თუ კი მოინდომებს, რიყეზე ისე გაიელის კაცი, კენესაც ვერ დაინახავს.

ვერც ჩვენმა პატივცემულმა რეგიზორ-ბუღალტერმა დაინახა თურმე ვერაფერი საეჭვო და საყოყმანო. ის კი არა, მის მიერ შედგენილ აქტს რომ დავუჯეროთ, ერთობ კმაყოფილიც დარჩენილა სასწავლებელში არსებული მდგომარეობით — მოსწავლეთა მიღებისა და გამოშვების გეგმა ასი პროცენტით არის შესრულებული, ხოლო მეცადინეობაზე დასწრება 92 პროცენტის ფარგლებს ვერ გადაუვლია (ეტყობა, ამ უკანასკნელი პროცენტის გამოყვანისას დიდი ჯაფა დაადგა. ახლა შეუძლია დაისვენოს, სამსახურიდან გაათავისუფლეს)...

უთუოდ უნდა აღინიშნოს პრინციპული პოზიცია, რომელიც პარტიის ვანის რაიკომმა იმთავითვე გამოამჟღავნა. სასწავლებელში მომხდარ ყოვლად აღმაშფოთებელ ფაქტებს ასეთივე მკაცრი, მაგრამ სამართლიანი შეფასება მისცა რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობამ.

პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი ს. ხარძეიშვილი და სასწავლო-საწარმოო ნაწილის და აღმზრდელობით მუშაობაში მისი მოადგილეები ა. ბაოდავაძე და დ. გიორგაძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მათი პარტიულობის საკითხი განიხილება ძი

12 მაისი ● საკავშირო იუწყება

უკსოეთში

ფაქტები • მოვლენები

გამოიცა რუმინულ ენაზე

ბუქარესტი. ბუქარესტის პოლიტიკურმა გამომცემლობამ რუმინულ ენაზე გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებების, სიტყვებისა და გამოსვლების კრებული 1985-1986 წლები. კრებულში შეტანილია პოლიტიკური მოხსენება სკკპ XXVII ყრილობაზე, მოხსენებები და სიტყვები პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე.

იტყობინება რა კრებულის გამოცემას, აჯერებესს საგაზეთო ხაზს უსვამს, რომ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში „ფართოდ არის წარმოდგენილი საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნაყოფიერი საქმიანობა მშვიდობის, განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის“.

ძირს უთხრიან საკუთარ უშიშროებას

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის სამხედრო პოლიტიკა კვლავ გამალებული შეიარაღების გაძლიერებას ითვალისწინებს. იგი ისახავს განუხორციელებელ მიზანს — მიაღწიოს საბჭოთა კავშირთან შედარებით სტრატეგიულ უპირატესობას და ამით იწვევს ვითარების დესტაბილიზაციას მსოფლიოში. ასეთ დასკვნამდე მიდის ვაშინგტონის გავლენიანი ორგანიზაცია — თავდაცვითი ინფორმაციის ცენტრი თეთრი სახლის მიერ კონგრესისათვის წარდგენილი ამერიკის შეერთებული შტატების 1988 საფინანსო წლის სამხედრო ბიუჯეტის პროექტის საგულდაგულო ანალიზის შედეგად. ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული კვლევის ავტორები კატეგორიულად უარყოფენ მტკიცებებს, თითქოს „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივით“ გათვალისწინებული კოსმოსური ბაზირების ელემენტებიანი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები ბირთვულ შეტევითს შეიარაღებას „მოძველებულად“ აქცევდეს. პირიქით, ხაზს უსვამენ ისინი, ამ სისტემების შექმნა და განლაგება მხოლოდ

თავდაცვითი ინფორმაციის ცენტრი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტის შესახებ

▼▼

დააჩქარებს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების გაძლიერების ტემპს და ძირს გამოუთხრის შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ შეთანხმებათა მიღწევისათვის ძალისხმევას. გამოკვლევაში საფუძვლიანად ამტკიცებენ, რომ მკვეთრად უნდა შემცირდეს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივისათვის გამოყოფილი ასიგნებანი, რათა არ დაუშვან მასთან დაკავშირებულ სამუშაოთა გატანა ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ.

გამალებული შეიარაღების დაჩქარებასა და ქვეყნად სტრატეგიული ვითარების დესტაბილიზაციას, ხაზგასმულია გამოკვლევაში, ისახავს მიზნად აგრეთვე თეთრი სახლის მოთხოვნები იმის შესახებ, რომ გაზარდონ ასიგნებანი „მექს“ ტიპის კიდევ 50 რაკეტის შექმნისა და განლაგების სამუშაოთა დაფინანსებისათვის იმ 50 რაკეტის დამატებით, რომლებსაც უკვე სანქცია მისცა კონგრესმა. ეს ეხება აგრეთვე პირველი დარტყმის ისეთ სტრატეგიულ შეიარაღებას, როგორიც არის რაკეტები „ტრაიდენტ-2“, „მიჯითმენი“, შორი მოქმედების ფრთოსანი რაკეტები, რადარებისათვის „უხილავი“ ბომბდამშენ „სტელსის“ ტიპის სტრატეგიული დანიშნულების საბრძოლო თვითმფრინავები.

გამოკვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ ფაქტსაც, რომ პენტაგონი აპირებს სწრაფად გაზარდოს სპეციალური დანიშნულების ძალები, რომლებიც საჭიროა უწინარეს ყოვლისა, განვითარებად ქვეყნებში შეიარაღებული ჩარევისათვის. ამასთან ვაშინგტონის სამხედრო პოლიტიკა ხორციელდება იმ დოქტრინის შესაბამისად, რომელიც აცხადებს, რომ შეერთებული შტატების „საარსებო ინტერესები“ მსოფლიოს ყველა რეგიონს მოიცავს.

გამოკვლევის ავტორები საჭიროდ მიიჩნევენ იმ 312 მილიარდი დოლარი ისიგნების მკვეთრ შემცირებას, რომლებსაც ადმინისტრაციისაგან მოითხოვენ სამხედრო მიზნებისათვის, თავდაცვის დარგში პრიორიტეტების გადასინჯვას. ისინი ფაქტებით ცხადყოფენ, რომ ქვეყნის რესურსების გაფლანგვა და გამალებული შეიარაღების გაძლიერება კი არ განამტკიცებს, არამედ ძირს უთხრის ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებას.

პრესა ადასტურებს

ხელშეკრულების აშკარა დარღვევა

ამერიკის შეერთებული შტატები განალაგებს რადიოსალოკაციო სადგურების სისტემას „პეივ პოზს“

ვაშინგტონი. შეერთებულმა შტატებმა დაამთავრა ფაზირებულგისოსიანი „პეივ პოზის“ დიდი რადიოსალოკაციო სადგურების ჯსლის შექმნა, რომლებიც გამოიყენება ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის მიზნით. როგორც სამხედრო სამრეწველო წრეებთან დაახლოებული გაზეთი „დიფენს ნიუსი“ იტყობინება, ამ ტიპის მეოთხე რადიოსალოკაციო სადგური „გრაფეიკის გასწრებით“ ამოქმედდა ელდორადოს ავიაბაზაში (ტეხასის შტატი). „პეივ პოზის“ სისტემები გაჩალაგეს აგრეთვე ბილის (კალიფორნიის შტატი), რობინსის (ჯორჯიის შტატი) და კეიპ-კოდის (მასაჩუსეტსის შტატი) სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზებზე. როგორც „დიფენს ნიუსი“ წერს, ეს რადიოსალოკაციო სისტემა „თვალს ადევნებს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებს, აგრეთვე აგროვებს ინფორმაციას ორბიტაზე გასული 6 ათასზე მეტი თანამგზავრის შესახებ“. ფაზირებულგისოსიანი რადიოსალოკაციო სადგურების ქსელი შეიძლება გახდეს საფუძველი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საერთო-ეროვნული სისტემის განლაგებისათვის, რომლის შექმნა აკრძალულია რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებით.

აშკარად არღვევს რა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც კრძალავს ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ფაზირებულგისოსიანი დიდი რადიოსალოკაციო სადგურების მშენებლობას, ამერიკის შეერთებული შტატები ახალ მძლავრ რადიოსალოკაციო სადგურს აშენებს გრენლანდიაში ტულეს რაიონში განლაგებულ ავიაბაზაში. ეს რადიოსალოკაციო სადგური იქმნება ძველი სადგურების „მოდერნიზაციის“ ნიღბით. მეორე ასეთი რადიოსალოკაციო სადგური აგება დასახულია დიდი ბრიტანეთის ფაილინგდეილზ-მურის რაიონში. ეს სადგურები გათვალისწინებულია ბალისტიკური რაკეტების შორი აღმოჩენისათვის და მათი გამოყენება შეიძლება ამერიკის შეერთებული შტატების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ფართო მასშტაბის სისტემაში.

● ჩინეთი

გააძევეს იაპონელი კორესპონდენტი

პეკინი. როგორც ცნობილი გახდა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ ჩინეთიდან განდევნა იაპონიის საინფორმაციო საგაზეთოს კიოდო ცუსინის კორესპონდენტი ჩენმი შუიცუ ჩინეთის შესახებ საინფორმაციო მასალების, მათ შორის საიდუმლო ხასიათის მასალების აკრძალული მეთოდებით შეკრებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესახებ „შეთითხნილი ცნობების“ გავრცელებისათვის.

განაჩენი ფეხბურთის ხულიგნებს

ლონდონი. ბრიტანეთის სახამართლომ 10-10 წლის პატიმრობა მიუსაჯა ბრიტანეთის „ფეხბურთის ხულიგანთა“ ბანდის ორ მეთაურს. მათ ბრალად ედებათ ლონდონის „ჩელსის“ კლუბის თამაშების დროს მრავალრიცხოვანი უწესრიგობის ორგანიზაცია. ისინი ამ კლუბის გულშემატკივრები არიან. გასულ კვირას სამ სხვა წევრს ამ ბანდისა, რომელსაც „ჩელსელი თავებზე მონადირენი“ ეწოდება, მიუსაჯა შვიდი, ექვსი და ხუთი წლის პატიმრობა.

ხულიგნების დაპატიმრება პოლიციამ შეძლო ფართო მასშტაბის ოპერაციის შედეგად, რომლის დროსაც მოახერხა ბანდაში შეეგზავნა რამდენიმე თავისი აგენტი. გამოირკვა, კერძოდ, რომ ეს „გულშემატკივრები“ მარტო ფანატიკოსები კი არა, არამედ არმიული წესით შექმნილი შეიარაღებული იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრები იყვნენ. მის არსენალში აღმოაჩინეს ხელკეტები, არბალეტები, ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი. თავისებური შტაბი ამუშავებდა ბანდის წევრების მარშრუტებს ფეხბურთის მატჩების გამართვის ადგილებისაკენ და უწესრიგობის პროვოკაციულად გამოწვევის ტაქტიკას, ნიშნავდა უკან დახევის გზებსა და თავშესაფარს პოლიციის მოსალოდნელი ალყის დროს.

როგორც გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ წერს, „ჩელსელ თავებზე მონადირეთა“ მეთაურები თავიანთ მიმდევრებში ნერგავდნენ უკიდურესად მემარჯვენე შეხედულებებს იმ იდეების სულისკვეთებით, რომლებსაც ქადაგებენ ნეოფაშისტური „ეროვნული ფრონტი“ და პროტესტანტი ულტრები ოლსტერში. ამ ბანდიტების ანგარიშზეა ასობით დასახჩრებული და მოკლული გულშემატკივარიც კი. როგორც ცნობილი გახდა, ისინი, კერძოდ, მონაწილეობდნენ სისხლიან ხოცვა-ჟლეტაში, რომელიც პროვოკაციულად მოაწყვეს ინგლისელმა ფანატიკოსებმა 1985 წლის მაისში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალურ შეხვედრებზე ინგლისის „ლივერპულისა“ და იტალიის „იუვენტუსს“ შორის. მაშინ ბელგიაში ბრიუსელის „ეიზელის“ სტადიონის ტრიბუნებზე მომხდარი ტრაგედიის შედეგად 39 კაცი დაიღუპა, ასობით კი დასახიჩრდა.

გარდაიცვალა გადანერგილგულიანი უხუცესი პაციენტი

პარიზი. მარსელის საავადმყოფოში 67 წლისა გარდაიცვალა ემანუელ ვიტრია, კაცი, რომელმაც ყველაზე მეტ ხანს — თითქმის 19 წელიწადს იცოცხლა გადანერგილი გულით. როგორც ექიმები იუწყებიან, მას აწუხებდა სუნთქვის უკმარისობა, რომელიც გულის უკმარისობით იყო გამოწვეული, მაგრამ სიკვდილის უშუალო მიზეზი ჯერჯერობით გარკვეული არ არის. ვიტრიას გადატანილი ჰქონდა რამდენიმე დაავადება, რომლებიც დაკავშირებული არ ყოფილა გულის გადანერგვასთან.

როგორც იტყობინებიან, 1968 წლის 27 ნოემბერს ვიტრიას, რომელსაც გულის განუკურნებელი დაავადება სჭირდა, გადაუნერგეს ავტომობილის კატასტროფაში დაღუპული 20 წლის მეზღვაურის გული.

ვიტრია, როგორც ჩანს, იდეალური პაციენტი არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ცდილობდა შეენარჩუნებინა ფორმა ფიზიკური ვარჯიშითა და ცურვით, ვერა და ვერ დაანება თავი თამბაქოს წევას. მაგრამ, მაინც, როგორც ამტკიცებენ ექიმები, რომლებიც მას თვალყურს ადევნებდნენ მთელი ამ წლების მანძილზე, მისი ახალი გული სიკვდილამდე არ იწვევდა განსაკუთრებულ შეშფოთებას.

ვიტრია, რომელსაც თავი მსოფლიოში უბედნიერეს ადამიანად მიაჩნდა, ცდილობდა ოპერაციის შემდეგაც სისხლსავსე ცხოვრებით ეცხოვრა. იგი იყო დონორთა კავშირის პრეზიდენტი, მოგზაურობდა კიდეც მთელ საფრანგეთში და მოუწოდებდა ადამიანებს ჩაებარებინათ სისხლი იმათთვის, ვისაც იგი ასე სჭირდება. „იგი გახდა პირველი, რომლის მაგალითმა დაადასტურა, რომ შესაძლებელია ადამიანმა ასე დიდხანს იცოცხლოს სხვისი გულით“, — თქვა ერთ-ერთმა ექიმმა, რომელიც მონაწილეობდა ვიტრიასათვის გულის გადანერგვის ოპერაციაში.

გაიმართა მოლაპარაკება

11 მაისს მოსკოვში მოლაპარაკება ჰქონდათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ე. ა. შევარდნაძესა და ტაილანდის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ავიაციის მთავარ მარშალს სიტი სვეტსილას, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება.

გაიმართა საქმიანი და გულახდილი აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ტაილანდის ურთიერთობის საკითხებზე და საკვანძო საერთაშორისო პრობლემებზე, უწინარეს ყოვლისა, ისეთ პრობლემებზე, რომლებიც ეხება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ვითარებას. ორმხრივი ურთიერთობის განხილვისას კმაყოფილება გამოითქვა ამ ურთიერთობის პოზიტიური განვითარების გამო და დადასტურდა, რომ ორივე მხარე აპირებს განაგრძოს მეცადინეობა, რათა გააღრმაონ პოლიტიკური დიალოგი, გააფართოონ კონტაქტები, მათ შორის საპარლამენტთაშორისო ურთიერთობა, გაიცვლა მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და სპორტის დარგში, რაც, მხარეთა აზრით, შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, ხელს შეუწყობს სრულიად აზიის უშიშროებისა და თანამშრომლობის განმტკიცებას.

იმავე დღეს ე. ა. შევარდნაძემ ს. სვეტსილას გაუმართა საუზმე, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკმესი).

თათბირობენ კრიმინოლოგები

12 მაისს მოსკოვში გაიხსნა სოციალისტური ქვეყნების კრიმინალისტთა VI საერთაშორისო კონგრესი, რომელშიც მონაწილეობენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირის წამყვანი იურისტი მეცნიერები, რომლებიც დამნაშავეობასთან ბრძოლის პრობლემებს ამუშავებენ, სახელმწიფო სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. კონგრესის თემაა „პროფილაქტიკა სოციალისტურ საზოგადოებაში დამნაშავეობასთან ბრძოლის მთავარი მიმართულებაა“.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელები.

კონგრესი სამ დღეს გასტანს.

(საკმესის კორ.)

არჩევნების შესახებ

სოფელმა ასე ინება

ჟრილობა ამ სოფელში ადრეც ყოფილა, მაგრამ ეს სულ სხვა იყო. ჯერ კიდევ მის გახსნამდე ყველას გასჩენოდა სალაპარაკო, იყო ერთი სჯა-ბაასი, ჩოჩქოლი.

რატომ, რისთვის? ადრე პარტიული ორგანიზაცია, პროფკავშირები მოითათბირებდნენ ამა თუ იმ კანდიდატურის შესახებ, ამომრჩევლებს შესთავაზებდნენ, ეკითხებოდნენ, შეეტანათ თუ არა ისინი კენჭისსაყრელ სიაში.

ახლა ასე არ არის! სოფელი, კოლმეურნეობა, ხალხი თვითონ დაასახელებს დეპუტატობის კანდიდატს, ჰოდა, სჯა-ბაასიც ამან გამოიწვია; რა თქმა უნდა, ყველა თავისი ბრიგადის, ფერმის თუ კოლექტივის წევრს დაასახელებდა, თანაც ღირსეულს, რათა ხალხს მხარი დაეჭირა.

კიდევ ის იყო სიახლე, რომ ადრე თითო ოლქში დეპუტატობის ერთ კანდიდატს ასახელებდნენ, ახლა კი ოთხს შეიტანენ კენჭისსაყრელ სიაში და ამომრჩევლები ვისაც უნდა ამას დაიტოვებენ. საარჩევნო ოლქს, რომელიც სოფელში 25-ის ნაცვლად 8 შეიქმნა, ახლა მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქს უწოდებენ.

ეს სიახლე არა მარტო სოფელ გამარჯვებაშია, არამედ ყველგან.

და აი, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ღვთისაგარ ალეფიმენელმა ყრილობა გახსნილად გამოაცხადა.

სიტყვის ოებებს ახალგაზრდა კოლმეურნე ზაურ ბიკაშვილი. სასოფლო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად №1 საარჩევნო ოლქში ვეფხვი ჭინჭარაული დაასახელა, ჯარგამოვლილი ახალგაზრდა მექანიზატორი; ვლადიმერ გოგოჭურმა დაასახელა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის ვლადიმერ სამეგანშვილის კანდიდატურა; №2 საარჩევნო ოლქში კი ღირსეულთა შორის ახალგაზრდები დარმანდი, თენგიზ, ნელნა, პაატა სულაშვილები დაასახელეს, ხოლო №3 ოლქში — სარქალი ვლადიმერ გიგაური, №6 საარჩევნო ოლქში კი სოფლის ფოსტალიონი მზია ჭინჭარაული. ერთი სიტყვით, არავინ გამორჩენილა, თუკი ვინმემ კარგი შრომითა და ქცევით თავი ისახელა სოფელში.

— ავირჩიოთ!.. კარგია!... — ისმოდა ხალხის ხმა, რომელსაც ხშირად ოვაცია ფარავდა.

რა თქმა უნდა, ამ ღირსეულთა შორის არიან უფრო ღირსეულნიც. ცხადია, ყველა ვერ მიიღებს ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას. არჩევნების შინაარსი და დემოკრატიულობაც სწორედ ეს არის. დეპუტატობის კანდიდატთა ის ნაწილი, რომელიც შედარებით ნაკლებ ხმას მიიღებს, სარეზერვო დეპუტატად დარჩება, აურჩევლად შეცვლის იმას, ვინც რაიმე მიზეზის გამო საბჭოს შემადგენლობიდან გავა.

ასეთი არჩევნები უფრო მოსწონს სოფელს, რადგან იგი ხალხის ნებას გამოხატავს.

ვლ. მჰედლიშვილი,
„კომუნისტის“ სკკ. კორ.

გ. პ. ქირია



რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა რიგებს გამოაკლდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, შრომისა და ომის ვეტერანი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ წევრი 1945 წლიდან, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი, გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გენადი პეტრეს ძე ქირია.

გ. პ. ქირია დაბადა 1907 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ დიდნეძში, გლეხის ოჯახში. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1931 წელს მუშაობას იწყებს წალენჯიხის რაიონის მიწგანის მთავარ აგრონომად. 1933 წლიდან ნიშნავენ ჯერ ზესტაფონის, შემდეგ ზუგდიდის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში უფროსი აგრონომის თანამდებობაზე, 1940 წლიდან კი თბილისის გარეუბნის რაიონის მიწგანის შრომის ორგანიზატორია. დიდი სამამულო ომის

წლებში იგი სამშობლოს დამცველთა რიგებშია. დემობილიზაციის შემდეგ გ. პ. ქირია გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში იწყებს მუშაობას მთავარ აგრონომად. 1948 წლიდან გარდაცვალებამდე იგი გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის უცვლელი დირექტორია.

მისი უნარიანი ხელმძღვანელობით გაგრის მეციტრუსეობის მეურნეობაში ჩამოყალიბდა შრომისმოყვარე, შესანიშნავი კოლექტივი, შეიქმნა მომთხოვნელობის, პრინციპულობის, ურთიერთდახმარების და მეგობრობის სანიმუშო ატმოსფერო, რამაც საბჭოთა მეურნეობა გადაქცია ერთ-ერთ მოწინავედ მთელს რესპუბლიკაში. აქ სისტემატურად და გადაჭარბებით სრულდებოდა სახელმწიფო დავალებები, დაინერგა მრავალი სიახლე.

ყველგან, სადაც იმუშავა გ. ქირიამ, გამოავლინა ენერგიული, კვალიფიციური მუშაკის თვისებები, ხელმძღვანელის მაღალი ორგანიზატორული უნარი. მას იცნობდნენ როგორც საქმისადმი ერთგულ, პრინციპულ, გულწრფელ და თავმდაბალ მუშაკს, კარგ მოქალაქეს და მეოჯახეს. ამ საუკეთესო თვისებების გამო მან დამსახურებულად მოიპოვა სიყვარული და ავტორიტეტი.

პარტიამ და სახელმწიფომ ღირსეულად დააფასეს მ. ქირიას დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, ორი შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. არჩეული იყო საქართველოს სსრ მე-11 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, აგრეთვე რამდენიმე მოწვევის რაიონული საბჭოს დეპუტატად.

კომუნისტის, ჩინებული სამეურნეო ხელმძღვანელის, სანიმუშო ადამიანის გ. ქირიას სახელი დიდხანს ემახსოვრებთ მშრომელებს.

ჯ. ი. პატიაშვილი, პ. გ. გილაშვილი, ო. გ. ჭარძელაშვილი, გ. დ. მგელაძე, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, ო. გ. ზუხბაია, ი. ჯ. უბილავა, ა. ი. ბაძრაძე, რ. დ. ფანცხავა, ვ. ჯ. ფილია, ხ. ა. აიბა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გაგრის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

გენადი პეტრეს ძე ქირია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ფოტოინფორმაცია

◆ **კუბა**

თავისუფლების კუნძულზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა რეკონსტრუქცია. პრიმიტიული სახელოსნოები მობილური საწარმოო ობიექტების სახეს იღებენ.

სურათზე: პინარ-დელ-რიოს პროვინციის კერამიკული ფაბრიკის ნაწარმზე მომხმარებელთა დიდი მოთხოვნილებაა.

◆ **კოლონეთი**



ვარშავის ავიაციის ინსტიტუტის ლაბორატორიებში, რომლებიც უახლესი თანამედროვე მოწყობილობით არის აღჭურვილი, ეწყობა გემ-და ძრავშენებლობის, ელექტრონული, საავიაციო და მრეწველობის სხვა დარგების განვითარებასთან დაკავშირებული გამოცდები.

სურათზე: აეროდინამიკური მილი, რომლის დიამეტრი ხუთი მეტრია, დადგმულია ინსტიტუტის ერთ-ერთ შენობაში.

იწყება „საარჩევნო მარათონი“

ტეტჩერმა გამოაცხადა საყოველთაო არჩევნების თარიღი

▼▼

ლონდონი. დიდ ბრიტანეთში მომდინარე წლის 11 ივნისს საყოველთაო არჩევნები გაიმართება. ეს ოფიციალურად გამოაცხადა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა თავისი კაბინეტის მინისტრებთან კონსულტაციებისა და სახელმწიფოს მეთაურთან დედოფალ ელისაბედ მეორესთან შეხვედრის შემდეგ. უკვე მომავალ ორშაბათს სამეფო ბრძანებულებით დაითხოვენ პარლამენტს და მთელ ქვეყანაში დაიწყება დაძაბული პოლიტიკური ბრძოლა, რომელსაც აგდილობრივი მომომხილველები „საარჩევნო მარათონს“ უწოდებენ.

აქ განსაკუთრებით აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ ბრიტანეთის მთავრობის მეთაურმა გადაწყვეტა, უწინარეს ყოვლისა ტაქტიკური მოსაზრებებით, საყოველთაო არჩევნები მოაწყოს მისი მთავრობის უფლებამოსილების ვადის ოფიციალურ გასვლამდე ერთი წლით ადრე. საზოგადოებრივი აზრის ბოლო გამოკითხვების მონაცემების, აგრეთვე ინგლისისა და უელსის ხელისუფლების აგდილობრივი ორგანოების ამასწინანდელი არჩევნების შედეგების თანახმად, ამომრჩევლები ახლა მმართველი პარტიის სასარგებლოდ არიან განწყობილი. მთელი რიგი სეზონური ფაქტორების წყალობით რამდენადმე გაუმჯობესდა ეროვნული ეკონომიკის მაჩვენებლები, არის ქვეყანაში საქმიანი აქტიურობის გამოცოცხლების ნიშნები. მეორე მხრივ, საქმიანი წრეების წამყვანი წარმომადგენლები და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უახლოესი მრჩევლები გამოთქვამენ სერიოზულ ეჭვს იმის თაობაზე, რომ ხელშემწყობა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კონიუნქტურამ შეიძლება გასტანოს მხოლოდ მომავალ წლამდე ან სულაც მიმდინარე წლის დამლევამდე. ასეთ პირობებში გადაწყვეტა კაბინეტის მეთაურმა მოაწყოს არჩევნები ივნისში.

საყოველთაო კენჭისყრის ვადის განსაზღვრის ტრადიციული უფლება მმართველ პარტიას მის ძირითად პოლიტიკურ კონკურენტებთან შედარებით არსებითი უპირატესობებით უზრუნველყოფს. საქმე ეხება, უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის ძირითად ოპოზიციურ პარტიას — ლეიბორისტულს. ინგლისისა და უელსის ხელისუფლია მოხსენებაში, აწყდებიან სერიოზულ სიძნელეებს იმ პირთა იზოლირებაში, რომლებსაც სასამართლომ სხვადასხვა ვადის პატიმრობა მიუსაჯა.

● **ლონდონი.** ბელფასტში გაიმართა ჩრდილოეთ ირლანდიაში ბრიტანეთის ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლი პატრიოტული ძალების მასობრივი დემონსტრაცია. თუმცა ხელისუფლებმა სცადეს ჩაეშალათ მანიფესტაცია, რომელიც მათ „უკანონოდ“ გამოაცხადეს, რამდენიმე ათასმა კაცმა მაინც ჩაიარა ქუჩებში ქალაქის დასავლეთ ნაწილში, რითაც გამოხატა პროტესტი ლონდონის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **პარიზი.** ცხრაასმა ათასმა კაცმა დაათვალიერა პარიზში 76-ე საერთაშორისო ბაზრობა, რომელიც ორშაბათს დამთავრდა. თერმეტ დღეს აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ ისინი, ვინც დაინტერესებულია დასვენების ორგანიზაციითა და მოგზაურობით, მუსიკითა და ლიტერატურით, შებაღლებით და ბინების კეთილმოწყობით, ვისაც უყვარს ჩხრკეტდელობა და საგმლის ძებნა, ქსოვა და ქარგვა.

ბაზრობაზე თავიანთი პროდუქცია წარმოადგინეს მსოფლიოს 26 ქვეყნის 8200 ორგანიზაციისა და ფირმის წარმომადგენლებმა.

● **ვაშინგტონი.** შარშან ამერიკის შეერთებული შტატების საპყრობილეებში პატიმართა რიცხვი 8,6 პროცენტით გაიზარდა. ასეთი მონაცემებია მოყვანილი კვირას გავრცელებულ ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს მოხსენებაში. დოკუმენტში აღიარებულია, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად იზრდება დამნაშავეობა ყველა შტატში. აგდილობრივი ხელისუფალნი, ხაზგასმულია ანგარიშში, ამბობენ, ამ მოვლენის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ნარკოტიკებზე ბრძოლის ეფექტურობის დაქვეითებას.

ინდოეთი

კანონზომიერი ნაგიჯი

პენჯაბში შემოღებულია პრეზიდენტის მმართველობა

▼▼

დელი. ინდოეთის პენჯაბის სასაზღვრო შტატში შემოღებულია პრეზიდენტის მმართველობა. პენჯაბის საკანონმდებლო კრების უფლებამოსილებანი დროებით შეჩერებულია. ამის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია ინდოეთის პრემიერ-მინისტრის რაჯივ განდის თავმჯდომარეობით გამართულ ქვეყნის მთავრობის მინისტრთა კაბინეტის სპეციალურ სხდომაზე. ინდოეთის პრეზიდენტმა ზაილ სინგმა დაამტკიცა შესაბამისი ბრძანებულება. შტატის უშიშროების ძალები მზად არიან ამისათვის, რომ არ დაუშვან ძირგამომთხრელი ელემენტების მხრივ შესაძლო პროვოკაციები.

ადგილობრივი მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ პენჯაბში პრეზიდენტის მმართველობის შემოღება კანონზომიერი ნაბიჯი გახდა საზღვარგარეთის მხარდაჭერით იქ ტეროროისტული საქმიანობის მკვეთრი გამწვავების პირობებში, რომელიც რესპუბლიკის ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის შერყევის რეალურ საფრთხეს ქმნის. მარტო აპრილში სიქი სეპარატისტებისა და ექსტრემისტული დაჯგუფებების შეიარაღებულ გამოხდომეს ემსხვერპლა ასამდე კაცი. ტეროროის გაძლიერება იწვევს პენჯაბის ინდუისტი მოსახლეობის წარმომადგენელთა შორის ლტოლვილთა რიცხვის ზრდას. დასჯის შიშით ათობით ოჯახი საცხოვრებლად გადადის მეზობელ შტატებში. ეს ამწვავებს პენჯაბის პრობლემას და რეაქციული ძალები მას იყენებენ რელიგიურ-თემური შუღლის გაღვივებისათვის ქვეყნის ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით.

ინდოეთის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პენჯაბში გამთიშველთა მოქმედება „მინგანი რეაქციისა და ინდოეთის მტრული გარეშე ძალების იმ ფართო შეთქმულების შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანია ინდოეთის მთავრობას ხელი ააღებინოს მშვიდობისმოყვარულ, ანტიიმპერიალისტურ საგარეო პოლიტიკასა და ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების კურსზე.

ბელგია

„ოლიმპიადა“ ბრიუსელში

ბრიუსელი. ბელგიის ეროვნული ოლიმპიადა ბრიუსელში ... ...

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲖᲔ ᲓᲦᲔᲑᲠᲫᲚᲘ...

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ და ერთი წელი იცოცხლა გამოფენილმა აფხაზმა მხატვარმა ალექსანდრე კონსტანტინეს ძე შერვაშიძემ (ჩაჩბამ), რომლის შემოქმედებასაც გვაცნობს მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის გამოფენა. ბოლო წლები მხატვარმა მონაკოს მოხუცებულთა პანსიონში გაატარა. სამშობლოში გამოგზავნა ხუთასი ნაწარმოები — მთელი თავისი ქონება.

სწორედ მოსკოვში გამოიფინა ოდესღაც ალექსანდრე შერვაშიძის პირველი ნამუშევრები. ეს იყო 1892 წელს „ქალაქის მოსწავლეთა XV გამოფენაზე“. ერთი მთავანი — „ბაღში“ — მოსკოველებმა კვლავ ნახეს 95 წლის შემდეგ.

ანალანდელ ვერნისაჟზე გამოფენილია კიდევ ერთი სურათი, რომელმაც ორჯერ დიდი როლი შეასრულა ავტორის ცხოვრებაში, — „უცნობი ქალის პორტრეტი“.

...შემდგომში კიდევ ბევრ ქალის პორტრეტს დახატავს, მაგრამ ეს სახე ფსიქოლოგიურად იმდენად ზუსტი იყო, რომ ყველამ აღიარა მოსწავლის ნიჭი, და ვ. დ. პოლეენოვმა დაბეჯითებით მოითხოვა სასწავლებლად საზღვარგარეთ გაეგზავნათ. ასე აღმოჩნდა

პირველად პარიზში ყმაწვილი მხატვარი.

1906 წელს კი პეტერბურგში მიიწვიეს საიმპერატორო თეატრებში სამუშაოდ. თხუთმეტიოდე წლის მანძილზე ორმოცდაათამდე სპექტაკლი გააფორმა მხატვარმა მარიამის, ალექსანდრეს და რევოლუციამდელი რუსეთის სხვა თეატრებში. გრანდიოზული გეგმები ჰქონდა პეტროგრადის სახელმწიფო თეატრების მთავარი დეკორატორის პოსტზე დანიშნის შემდეგ. მაგრამ მის სამშობლოში დიდი ამბები ხდებოდა და უნდოდა ასეთ დროს თავის ხალხთან ყოფილიყო. მენშევიკური რეაქციის დევნამ აიძულა აფხაზეთიდან საზღვარგარეთ წასულიყო. და ისევ პარიზი — ამჯერად უკვე მრავალი წლით.

მაგრამ რუსულ ხელოვნებასთან შერვაშიძეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა მთელი სიცოცხლის მანძილზე იქაც — სამშობლოდან შორს. 1920 წლიდან — ცხრა წლის მანძილზე — გრძელდებოდა მისი შემოქმედებითი მეგობრობა ს. პ. დიაგილევთან, შემდგომში კი ს. ლიფარსთან და ვ. ბაზილთან „მონტე-კარლოს რუსულ ბალეტში“.

როცა მხატვარი უკვე ოთხმოცდაათი წლისა იყო, 1958 წელს, სასიხარულო ცნობა მიიღო საბჭოთა საქართველოდან. იგი დაკავებული იყო „უცნობი ქალის პორტრეტთან“. ერთ-ერთ ჟურნალისტს ეს სურათი თბილისის მუზეუმის ფონდებში უპოვია. შერვაშიძემ მიაღწია ჟურნალმა, რომელშიც დაბეჭდილი იყო სტატია „მრავალი წლის წინათ გარდაცვლილი გენიალური აფხაზი მხატვრის“ შესახებ...

— მამაჩემი მაშინვე გამოეხმაურა ამ ამბავს და პირველსავე წერილში წერდა: ჩემი ოცნებაა სამშობლოს გადავიე ყველაფერი, რაც შეიქმნაო, — გვიამბობს მხატვრის ქალიშვილი რუსუდან შერვაშიძე. — თვითონ ადიოდა სხვენში და ყუთებში აწყობდა სურათებს, იმდენად სურდა, რომ მისი ნაწარმოებები თანამემამულეებს ენახათ. სამშობლოში ჩამოვიდა უმდიდრესი საარქივო მასალა. მას ხომ დიდი მეგობრობა აკავშირებდა მ. ა. ვოლოშინთან, ა. ნ. ბენუასთან, ვ. ე. მეიერხოლდთან, ი. ე. რაბინოვთან, ა. ნ. ტოლსტოისთან და პ. პიკასოსთან.

ა. შერვაშიძეს, როგორც გული უგრძნობდა კიდეც, მშობლიურ ქალაქში დაბრუნება აღარ ეწერა. მაგრამ ორი მუზეუმი — თბილისის და სოხუმისა — არა მარტო სიყვარულით ინახავს მის სურათებს ფონდებში, არამედ მოძრავ გამოფენებსაც აწყობს, რათა ხალხისათვის ნაანდერძევი მხატვრის შემოქმედება, მისი მემკვიდრეობა, ყველასათვის მისაწვდომი იყოს.

ნ. ᲙᲘᲣᲩᲩᲘᲫᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: „უცნობი ქალის პორტრეტი“.

Ა. ᲞᲝᲢᲐᲞᲝᲕᲘᲡ ფოტო.

„ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐ“, 1987 წ. 12-Ვ.

ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲕᲐᲭᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა საავტორო უფლებების რესპუბლიკურ სააგენტოს ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების თეატრალურ მოღვაწეთა დელეგაცია ნიუ-იორკის (ბროდვეის) მუსიკალური, თეატრალური და კინოფესტივალების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტის, ცნობილი ამერიკელი პროდიუსერის კენ მარსოლეს მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ამერიკის ქალაქ სენტ-პოლის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი მაიკლ მაისნერი და ნიუ-იორკის უოჯინ ო'ნილის სახელობის თეატრალური ცენტრის რეჟისორი ქალი ელიზ ტორონი, რომელმაც ინგლისურ ენაზე თარგმნა ქართველი დრამატურგის ლალი როსების ტრაგიკომედია „პროვინციული ამბავი“.

ამერიკელმა სტუმრებმა გამოთქვეს სურვილი ენახათ რობერტ სტურუას საოპერო და დრამატული სპექტაკლები, განსაკუთრებული ინტერესით შეხვდნენ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის პრემიერას „ეფფე ლირს“, რომელიც დადგა თეატრის მთავარმა სამხატვრო ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო, რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატმა, რეჟისორმა რობერტ სტურუამ.

ცნობილმა ნიუ-იორკელმა პროდიუსერმა კენ მარსოლემ სპექტაკლის შემდეგ გვითხრა, რომ იცნობს „ეფფე ლირის“ თითქმის ყველა მნიშვნელოვან დადგმას თანამედროვე მსოფლიოს უდიდეს თეატრებში, რადგან ეს ჩემი სამსახურებრივი მოვალეობაა. რობერტ სტურუას სპექტაკლი საუკეთესოა, — დასძინა მან — მსგავსი „ლირი“ მე არსად მინახავს. ეს არის შექსპირის საოცარი რეჟისორული და აქტიორული ინტერპრეტაცია. მინდა მივულოცო დიდი წარმატება დიდ მსახიობს რამაზ ჩხიკვაძეს, ასევე განუმეორებელ „ლირს“, — თქვა კენ მარსოლემ, — საოცრად შთამბეჭდავი იყო მასხარის როლში ეანრი ლოლაშვილი. მთელი დასი მოგვეწონა. დარწმუნებული ვარ, სტურუას ახალ სპექტაკლს „ეფფე ლირს“ ნახავს თეატრალური ევროპა და ამერიკა.

მონსეოტის შტატიდან ჩამოსულმა სენტ-პოლის დრამატული თეატრის მთავარმა რეჟისორმა მაიკლ მაისნერმა თქვა: სტურუას „ეფფე ლირი“ დიდი სპექტაკლია. რეჟისორს თავისებურად, ახლებურად წაუკითხავს შექსპირი. წუხელ სპექტაკლის შემდეგ მთელი ღამე არ მეძინა, სუნთქვა შემეკრა. დილით თენგიზ აბულაძის შედევრი — „მონანიება“ ვნახეთ, საღამოს სტურუას „ეფფე ლირი“! საოცრად დიდი ხელოვნება გაქვთ ქართველებს. გასაოცარია თქვენი თეატრიც და კინოც. ვფიქრობ, „მონანიებაც“ და „ეფფე ლირიც“ დიდ წარმატებას მოიპოვებს საერთაშორისო სარბიელზე. „მონანიების“ შესახებ რამდენიმე თვეა თითქმის ყოველ კვირა წერენ ამერიკისა და ევროპის გაზეთები. ბოლო წლებში არ მახსოვს ამდენი რეცენზია დაწერილიყოს რომელიმე ფილმზე.

როდესაც ამერიკელები „ეფფე ლირზე“ აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ, გამახსენდა ბერძენ დრამატურგთა დელეგაციის ამასწინანდელი სტუმრობა საქართველოში. დელეგაციამ ათენში შექსპირის „ჰამლეტის“ დასადგმელად მიიწვია რობერტ სტურუა.

დელეგაციის მეთაურმა კ. ზორბალამ თქვა: ათენისა და ლონდონის გაზეთები წერდნენ, რობერტ სტურუა ოცი-ოცდაათი წლით უსწრებსო მსოფლიოს უდიდეს რეჟისორებს შექსპირის პიესების ინტერპრეტაციისა და სცენური გაფორმების თვალსაზრისით.

ნიუ-იორკის უოჯინ ო'ნილის თეატრალური ცენტრის რეჟისორმა, ამერიკელმა დრამატურგმა და მთარგმნელმა ქალმა ელიზ ტორონმა აღიარა: ამატონი სტურუს სპექტაკლმა „ეფფე ლირმა“, თენგიზ აბულაძის „მონანიებამ“, რეზო ჩხეიძის „ჯარისკაცის მამამ“. ასეთი სპექტაკლები და ფილმები სცილდება ეროვნულ საზღვრებს, ისინი მსოფლიო ხელოვნების საგანძურს უნდა მივაკუთვნოთო. რობერტ სტურუას სპექტაკლებზე ლეგენდები დადის ევროპასა და ამერიკაში. ნახულმა მოლოდინს გადააჭარბა.

მომხიბლა რ. ჩხეიძის „ჯარისკაცის მამამ“. მასში გამოთქმული ტკივილი მარტო თქვენი ტკივილი არ არის, ეს ამერიკელის ტკივილიცაა. შემძრა ეპიზოდმა ვეხახეში, როცა დიდი მსახიობი სერგო ზაქარიაძე — ჯარისკაცის მამა, ტანკისტებთან შეჯახებაში საკაცობრიო ჰუმანიზმის სიმაღლემდე ადის. ფილმი მეტად შთამბეჭდავია. მე მითხრეს, რომ სან-ფრანცისკოში, როცა „ჯარისკაცის მამა“ აჩვენეს, ნახევარ დარბაზს თვალზე ცრემლი ადგა.

მე დიდი ინტერესით ვნახე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ლალი როსებას პიესა „პროვინციული ამბავი“. შვენიერი სპექტაკლია. მომეწონა ოთარ მეღვინეთუხუცესი. მუშტრის თვალით ვუყურებდი რეჟისორ მედეა კუჭუხიძის მიერ განხორციელებულ სპექტაკლს. ვიფიქრე, რა ადამიანებს, მარჯანიშვილის თეატრი მივიწვიოთ ამ სპექტაკლით ამერიკაში, თუ მე თვითონ დავდგა ჩემებურად მარჯანიშვილელთა მხატვრული გამოცდილების გათვალისწინებით როსებას პიესა იუჯინ ო'ნილის თეატრალურ ცენტრში.

შოთა რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში „ეფფე ლირის“ გარდა ამერიკელმა სტუმრებმა ნახეს თამაზ ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“. რობერტ სტურუას ამ სპექტაკლმაც სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია.

— თამაზ ჭილაძე ორიგინალური, საინტერესო დრამატურგი, თავისებური პიესის რეჟისორული გადაწყვეტა, — ასეთი იყო ამერიკელი თეატრალების აზრი სპექტაკლის გარშემო.

ამერიკის დელეგაცია გაეცნო კომპოზიტორ ალ. ბასილაიას ანაო მიუზიკლს, ანსამბლ „ივერიის“ პროგრამას და საქართველოს სსრ კულტურის მინისტრ ვალერი ასათიანთან. ამერიკის მხარემ გამოთქვა სურვილი აშშ-ში გაიზავნოს თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები. ამ საკითხზე, თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში კი გამოიგზავნოს სასწავლებლად, ქართული ენის დასაუფლებლად ამერიკელი სტუდენტები. გამოითქვა წინადადება დ. ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრი მიიწვიონ ამერიკის სუნივერსიტეტო თეატრალურ ცენტრში, ხოლო თბილისში საპასუხოდ, გამოგზავნონ ამერიკის რომელიმე საუნივერსიტეტო სტუდენტური თეატრალური დასი.

ბევრი საინტერესო აზრი და წინადადება გამოითქვა.

ეს საკითხები განხილვის სტადიაშია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უმრავლესობა დადებითად გადაწყდება. საკითხის დაყენებაც საინტერესო ფაქტია!

სტუმრები ეწვევნენ ნოდარ დუმბაძის მემორიალს „ზეიურში“. დიდხანს ათვალიერებდნენ მწერლისა და მისი პერსონაჟების ზურიკელას, ბებიას, ილიკოს, ილარიონს, მურაკას სკულპტურულ გამოსახულებას ვერეს ზეობაში.

—ნოდარ დუმბაძეს ვიცნობ. მისი ნაწარმოებები გამოიცა ამერიკაში, — თქვა ელიზ ტორონმა.

დიდხანს იდგნენ ამერიკელები ნოდარ დუმბაძის ყვავილებით მოფენილ საფლავთან და მის შემოქმედებაზე საუბრობდნენ..

ამერიკელები დაინტერესდნენ ოტია იოსელიანის პიესებით. მისი პიესა „სანამ ურემი გადაბრუნდება“ შერჩეულია კრებულისათვის „ასი თანამედროვე პიესა“, რომელიც ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოიცემა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ სტუმრები ჯორჯ ბალანჩინის შესახებ. იმ დღეებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიდგა ბალანჩინის ქორეოგრაფიის სალამი და ამერიკელები თბილისში იხსენებდნენ ჯორჯ ბალანჩინის თეატრის „ნიუ-იორკ სიტი ბალეს“ სპექტაკლებს.

— ქართველებს შეგიძლიათ იამაყოთ. XX საუკუნის ამერიკული ბალეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი ხომ ჯორჯ ბალანჩინია, ბალანჩივაძე, — თქვა კენ მარსოლემ.

— ბრწყინვალედ გამოვიდა შარშან ამერიკაში ქართველი ბალერინა ნინო ანანიაშვილი, — დუმატა ელიზ ტორონმა, — ნინო დიდი თეატრის ვარსკვლავია.

ამერიკის შეერთებული შტატების თეატრალურ მოღვაწეთა დელეგაციის ჩამოსვლა საქართველოში ღირსსახსოვარ მოვლენად იქცა, ის ხელს შეუწყობს კულტურულ ღირებულებათა გაცვლას, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

ᲕᲚ. ᲐᲚᲤᲔᲜᲘᲫᲔ,

მწერალი, საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტოს უფროსი.

ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲐᲤᲘᲨᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ დედაქალაქი გახდა ახალგაზრდულა სპექტაკლების III საკავშირო ფესტივალის გამართვის ადგილი. მესამედ შეიკრიბნენ თბილისში ქვეყნის თეატრალური ახალგაზრდობის საუკეთესო კოლექტივები.

პერმის ნორჩ მაყურებელთა საოლქო თეატრმა ფესტივალის ფარგლებში გრიბოედოვის სახელობის თეატრის სცენაზე აჩვენა სპექტაკლი, რომელიც დადგმულია ილია ილფისა და ევგენი პეტროვის პოპულარული ნაწარმოების „ოქროს კერპის“ მიხედვით.

სატირული კომედიის ინსცენირების ავტორია ა. ვოლნოვი, დამდგმელი რეჟისორი — ვ. ხკომოროხოვი, სცენოგრაფია და კოსტიუმები ეკუთვნის ა. კაზნაჩეევს, მუსიკალური გაფორმება — მ. გოლდბერგს, ქორეოგრაფია — ა. რაინიკი.

სპექტაკლში როლები შეასრულეს მსახიობებმა ა. ბატკალოვმა, ვ. სერიოგინმა, ვ. შულგამ, ნ. გლებოვმა, რუსეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ვ. პეშკოვმა და დასის სხვა მსახიობებმა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: პერმის ნორჩ მაყურებელთა საოლქო თეატრის სპექტაკლის „ოქროს კერპის“ სცენა.

Ვ. ᲗᲐᲚᲘᲜᲝᲕᲘᲡᲘᲡ ფოტო. (საინფორმის ფოტოქრონიკა).



ᲐᲛᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲡᲙᲯᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲝᲕᲔᲢᲣᲠᲐ“, „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ“, „ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ“, „ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲯᲘᲡᲢᲕᲘᲡ“, „ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲯᲘᲡᲢᲕᲘᲡ“, „ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲯᲘᲡᲢᲕᲘᲗ“ და სხვებთან ერთად თბილისში გაიმეტდება. გაზეთის მიმდინარე წლის 12 მაისის 57-ე ნომერი გადმოიცა მოსკოვიდან ფოტოტელეგრაფით და გაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სტამბაში.

▼▼

სამხრეთ ოსეთის მუსიკალური ხელოვნების მოყვარულებმა კარგი სარეკლამო მიიღეს. ცხინვალში მოძმე ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოსულმა სპეციალისტებმა ორგანი დადგეს. პირველ კონცერტზე გამოვიდა მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი, რუსეთის სსრ დამსახურებული არტისტი გარი გრიგორეგრი, რომელმაც ბახის ნაწარმოებები შეასრულა.

▼▼

საგუნდო კაპელის გამოსვლით აღინიშნა რუსთავის უმეფეულო საკონცერტო დარბაზის ახალმოსახლეობა. ღიმთონის სახურავების ქვეშ ფოდაგის კონსტრუციებისაგან აგებული გუმბათოვანი ნაგებობა იმეორებს საცირკო შატოს ფორმას. იგი წიღობრივ საწყისებზეა აშენებული ქალაქის საწარმოებმა. პირველი კონცერტის მონაწილეებმა და მაყურებლებმა ერთსულოვნად აღნიშნეს დარბაზის ჩინებული აკუსტიკა, რაც იძლევა აქ კამერული მუსიკის კონცერტების, ოკაღლიტების, მხატვრული კითხვის ოსტატთა გამოსვლების მოწყობის შესაძლებლობას.

▼▼

„ოქტომბერი“ უწოდეს ახალ კინოთეატრს რუსთავში, რომელმაც პირველი მაყურებელი მიიღო. იგი 400 აკაცისათვის არის გათვალისწინებული, აღჭურვილია საკონდიციონერო სისტემით, აქვს ვრცელი ჰოლი, სადაც გამოფენები მოეწყობა.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲝᲚᲘᲡᲢᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ ᲒᲐᲠᲘ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲔᲒᲠᲘ ᲬᲧᲚᲓᲘᲓᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ.

▼▼

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲛᲔᲯᲚᲘᲡᲘ

ᲚᲝᲢᲝᲗᲐᲒᲘᲡᲐ და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დადგენილების ძალაში შესვლის პირველ ხანებში ჩვენს რესპუბლიკაში მკვეთრად შემცირდა იმ ავტომძღოლთა რიცხვი, რომლებიც მთვრალები მართავდნენ ავტომანქანის საჭეს. ავტოინსპექციის თანამშრომლებმა ამოისუნთქეს, სამუშაო უფრო შეუმსუბუქდათ, იმასაც კი ამბობდნენ, სასთლით რომ ეძებოთ ლოთ მძღოლს საჭესთან ვერ ნახავთო. გავიდა დრო, ბახუსის მოყვარული კვლავ გამოჩნდა საჭესთან, ამიტომ მთა გამოსაელინებლად სახელმწიფო ავტოინსპექცია კვლავ იძულებული გახდა მოეწყო რეიდები საზოგადოებრიობის წარმომადგენლების მონაწილეობით.

რეიდის მონაწილეებმა წლეულს თბილისში პირველ კვარტალში 578 პროფესიონალი და ავტომოყვარული მთვრალი მძღოლი ჩამოსვეს ავტომობილიდან. მარშანდელ შესაბამის პერიოდში კი მათი რიცხვი 180-ს აღწევდა. როგორც ჩანს, სამჯერ და მეტად გაიზარდა ლოთი მძღოლების რაოდენობა.

დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს.

კობა წვერიაშვილი თბილისში ცხოვრობს, მაგრამ ქარელში მუშაობს და პასუხსაგები თანამდებობა — პოტკომბინატის დირექტორის პოსტი უკავია. მინდობილობით გაზ-24 მარკის ვოლგასაც მართავს. იგი მაგრად გამოთვრა და ავტომობილის საჭეს მიუჯდა. აეროპორტის გზაზე ღამის ორ საათზე ჩამოსვეს მანქანიდან. სამედიცინო ექსპერტიზამ მძიმე ხარისხის სითვრალის დიაგნოზი დაუსვა, ავტოინსპექტორებს ახლა-განმარტების მიცემაზეც უარი განუცხადა. ისიც უნდა ითქვას, რომ „ვოლგა“ მის სიმამრს ფ. ზედგენიძეს ეკუთვნის. პარტიის წევრისათვის არც სიმთვრალეა მოსაწონი და არც სხვის სახელს ამოფარება.

რკინგზის მუშათა მომარაგების თბილისის განყოფილების №14 სასადილოს მზარეულის შეგირდს გელა კენჭიხაძეს ავტომობილის მართვის მოწმობა არა აქვს და არც ჰქონია, მაგრამ... სწყურთარ „ყიგულს“ აღმა-დაღმა დაიქროლებს, თან ბახუსის მოყვარულიცაა. გ. კენჭიხაძეს 414 ანაპის სახელობის დეპოს ქუჩაზე ავტომობილი რვიანებით მიჰყავდა, წესრიგის დამცველებს ეს არ გამოპარვიათ და ლოთი მძღოლი გაიჭერეს, გ. კენჭიხაძე მეგობრის ბავშვის დაბადების დღეზე ყოფილა და შუაღამემდე უსვამს.

როცა კაცს ავტომობილის მართვის მოწმობა არ აქვს და მაინც უზის საჭეს, თანაც მთვრალი, თუ პირველი შემთხვევაა, ასი მანეთით აჯარიმებენ. ამჯერად ოცდაშვიდი წლის, სამი შვილის მამა გ. კენჭიხაძე ამ ჯარიმას დაიჯერეს, ხოლო თუ კიდევ გაიმეორა, პასუხისმგებლობას თავიდან ვერ აიცდენს.

ორი ქიქა ღვინო დაცლილ, გზოვით მაპატიოთ, — ასე ჩაწერა ადმინისტრაციული დარღვევის ოქმში ფირუზ თუთიაშვილმა, რომელიც მას ავტოინსპექტორმა შეუდგინა. იგი გვარიანად გამომთვრალიყო და, რომ იტყვიან, კარგ გუნებაზე იყო. ისიც გვიანობამდე შემორჩენოდა მეინახეებთან. ფ. თუთიაშვილი ლენინის რაიონის საზოგადოებრივი კვების ტრესტის №27-ე გაერთიანების მაღაზიაში გამყიდველად მუშაობს. როგორ შეაფასებს მის მოქმედებას ტრესტის ხელმძღვანელობა?

ჯუმბერ ხონელიძე მინდობილობით მეუღლის გულნარა რაზმაძის სახელზე გაფორმებულ „ყიგულს“ დაიქროლებს. საჭესთან ავტოინსპექტორებს ადმინისტრაციული დარღვევის ოქმში ჩაწერინა, რომ მუშაობს სურსათვაჭრობის მაღაზიის გამყიდველად, მაგრამ იცრუა — შარშან აგვისტოს შემდეგ არსად უმუშავია.

შეაღამისას მიაქროლებდა №414 ანაპის დივიზიის სახელობის ქუჩაზე ალბერტ ზასეშვილი საკუთარ „ყიგულს“. არც მისი სიმთვრალე დარჩენიათ შეუმჩნეველი რეიდის მონაწილეებს. ა. ზასეშვილი მუშაობს გლდანის სურსათვაჭრობის №4 უნივერსამის დარბაზის გამგედ. უძღოლდამთავრებული სპეციალისტი უფრო მეტი მომთხოვნი უნდა იყოს საკუთარი თავისადმი და არ უნდა არღვევდეს საზოგადოებრივ წესრიგს. ახსნა-განმარტების დაწერაზე უარი თქვა. თუმცა, რა ჰქონდა სათქმელი.

ღამის თორმეტ საათზე გელოვანის მოედნიდან დიღმის მიმართულებით ქარავით მიმავალმა მსუბუქმა ავტომობილმა წამში ორი ავტომანქანა დამტვრია — ჯერ შეეჯახა წინ მიმავალ „ნივას“, ეს უკანასკნელი კი ვაზ-2105 მარკის „ყიგულს“ შეახეთქა. ვაზ-2107 მარკის მსუბუქი ავტომობილი, რომლის მიზნითაც ავტოავარია მოხდა, ეკუთვნის მედეა კვირიკაშვილს და მართავდა მთვრალი ტარიელ ცერცვაძე. ლოთ მძღოლს გვერდით იჯდა ავტომობილის მფლობელი, ნაშუაღამევს მცხოვრები მედეა მიხეილის ასული კვირიკაშვილი. ისიც ნასვამი ბრძანდებოდა.

ტ. ცერცვაძე პარტიის წევრია და დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, მაგრამ პროფესიის მიხედვით ერთი დღეც არ უმუშავია, ნან საქონელმცოდნედ მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში, ნან ინჟინრად — თბილისის სარაიონთაშორისო კაპიტალური მშენებლობის სამმართველოში. მერე ისევ საქონელმცოდნედ თბილისის მწვანე მეურნეობის ავტოსატრანსპორტო საწარმოში. ამჟამად კი ეს „უნივერსალი“ თბილისხლობოსტანავაჭრობის №126 მაღაზიის ნაჭაურის საამქროს წარმოების უფროსია.

ეი პიროვნება მრავლისმეტყველი ბიოგრაფიეთ.

ლოთი მძღოლები დღისით იშვიათად ბედავენ ავტომობილის მართვას და ღამურებივით სიბნელის მოიმედენი არიან. ასე ფიქრობდა თბილისხლობოსტანავაჭრობის №29 მაღაზიის გამგე, პარტიის წევრი შალვა გოგაშვილი, რომელიც შუაღამისას კონსტიტუციის მოედანზე მთვრალი ჩამოსვეს ავტომობილიდან, მისი ბედი გაიზიარეს „თბილისპურის“ №4 თონის გამგის მოვალეობის შემსრულებელმა ტარიელ მიქაუტაძემ, რუსთავის კოოპვაჭრობის გამყიდველმა აკაკი სიმონოვმა და სხვებმა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ᲡᲐᲠᲔᲘᲝ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲝ ᲛᲐᲡᲠᲘᲜᲫᲚᲘᲗᲔᲑᲘ

ᲓᲦᲔᲡ თბილისის ჭადრაკის სასახლეში იწყება მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. ეს შეჯიბრება, რომელიც ჩვეულებრივ დიდ ინტერესს იწვევს ჭადრაკის სამყაროში, 1960 წლიდან იმართება. **პირველ** ტურნირში თბილისში გაიმარჯვა ცნობილმა ლენინგრადელმა საერთაშორისო ოსტატმა ლ. ვოლპერტმა. მეორე ადგილი დარჩა მომავალ მსოფლიო ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს, მესამე — მ. ტოგონიძეს. 1961 წელს **მეორე** ტურნირში (თბილისი-ბათუმი) დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ნ. გაფრინდაშვილმა, მეორე ადგილზე კი ა. ჩაიკოვსკაია გამოვიდა. ასევე ნ. გაფრინდაშვილის დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა **მესამე** (1962 წ; თბილისი-სოხუმი) და **მეოთხე** (1964 წ; სოხუმი) საერთაშორისო ტურნირები. **მეხუთე** საერთაშორისო ტურნირში (1968 წ; თბილისი) მსოფლიო ჩემპიონი არ მონაწილეობდა და პირველი ადგილი ნ. ალექსანდრიამ დაიკავა. მეორე-მესამე ადგილები ჩაიკოვსკაიამ და ბაქოელმა ტ. ზატულოვსკაიამ გაიყვეს. **მეექვსე** ტურნირი (1970 წ; თბილისი-ბორი) პირველი და უკანასკნელი იყო, რომელიც საზღვარგარეთელი მოჭადრაკის გამარჯვებით დამთავრდა. პირველი პრიზი წილად ხვდა ა. ნიკოლაუს (რუმინეთი), რომელმაც გასწრო ე. რუბცოვას. **მეშვიდე** ტურნირში (1973 წ; თბილისი) კვლავ ითამაშა ნ. გაფრინდაშვილმა, რომელმაც წინა ორი შეჯიბრება გამოტოვა. მსოფლიო ჩემპიონმა ბრწყინვალე სპორტული შედეგით (12 ქულა 13 შესაძლებლიდან) დაიკავა პირველი ადგილი. მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ნ. ალექსანდრიამ და ნ. კონსპლიოვამ. **მერვე** საერთაშორისო ტურნირში (1975 წ; თბილისი) მსოფლიო ჩემპიონმა ვერ შეძლო მონაწილეობის მიღება. პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს მომავალმა მსოფლიო ჩემპიონმა მ. ჩიბურდანიძემ და მოსკოველმა მოჭადრაკემ ა. ახშარუმოვამ. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გაიმართა **მეცხრე** ტურნირი (1984 წ; თბილისი), ყველაზე უფრო ძლიერი ტურნირი არა მარტო საქართველოში გამართულთა შორის, არამედ საერთოდ ჭადრაკის ისტორიაში. იგი მსოფლიო ექსჩემპიონის ნ. გარფინდაშვილის გამარჯვებით დამთავრდა, მეორე ადგილზე კი ნ. იოსელიანი გამოვიდა. და ბოლოს, 1985 წელს თბილისში გაიმართა **მეათე** საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ნორჩი ოსტატის ქ. არახამიას ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. მეორე ადგილზე ე. ახმილოვსკაია გამოვიდა.

მეთერთმეტე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში 14 მოჭადრაკე მიიღეს მონაწილეობას. გარდა ქართველი მოჭადრაკეების დიდი ჯგუფისა, მჭეკრად ბრძოლაში ჩაებმენიან მომავალი საზონთაშორისო ტურნირის მონაწილე, იუგოსლავიის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე სუზანა მაქსიმოვიჩი, რუმინეთის ჩემპიონი ლიგია ეკიმანი, ფრიად გამოცდილი უნგრელი ეუგა მაკაი, პოლონეთის წლევანდელი ჩემპიონატის პრიზიორი ლილიენა ლეშნერი, ბულგარელი ოსტატი ვერა პუიჩევა და სხვები.

საქართველოს ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც დაწესდება დიდოსტატის ბალის ნორმა, 1 ივნისამდე გასტანს.

Გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ



ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ სახალხო პოეტის ბაგრატ შინქუბას იუბილესათვის გამომცემლობა „მერანმა“ ქართულ ენაზე გამოუშვა მისი ლექსებისა და პოემების კრებული, რომელშიც შევიდა 60-ზე მეტი ლექსი და ბალადა. მათი მთარგმნელები არიან ცნობილი პოეტები — ი. აბაშიძე, რ. მარგიანი, გ. აბაშიძე, ა. სულაკაური, თ. ჯანგულაშვილი,